046

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი

№9

სექტემბერი

1·9·4·6

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ПИОНЕРИ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ
(на грузинском языке)

1946 год
Год издания 20 й

Издательство „Комунисти“

№ 9
СЕНТЯБРЬ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარიკა მიქელაძე

პიონერის ნიშანი

— ეს ნიშანი პაწაწინა
რისთვის მოგვცეს, იცი, დალი? —
რომ ჩვენს გულში მარად ენთოს
დიდი რწმენის ნაღვერდალი.

ეს კოცონი ალისფერი
ნიშანია, იცი, რისი? —
რომ გვახსოვდეს მამულისთვის
დანთხეული გმირთა სისხლი.

სხივები კი ოქროსფერი,
იცი, რისკენ მოგვიწოდებს? —
რომ ჩვენს ცაზე ოქროს სხივი
არ დაბნელდეს არასოდეს.

და წარწერა „მუდამ მზად ვარ“, —
ეს ცხადია თავისთავად, —
მას გვავალებს, რომ მზად ვიყოთ
ჩვენი ქვეყნის დასაცავად;

რომ ყოველთვის, მუდამ, მუდამ
ძგერდეს ჩვენი ნორჩი გული
დიდ სამშობლოს ერთგულებით
და ბელადის სიყვარულით.

ეს ნიშანი მშვენიერი
რად მივიღეთ, იცი, დალი? —
რომ ჩვენს გულში მუდამ ენთოს
დიდი რწმენის ნაღვერდალი!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად
იყავ მზად!

პიონერი

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის
ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური ორგანო.

1946 წელი
წელიწადი მეოცე

გამომცემლობა „კომუნისტი“

№ 9
სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა





იაპონიაზე გამარჯვების დღე

ერთი წლის წინათ, 1945 წლის 2 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულმა ძალებმა საბოლოოდ დაამარცხეს იმპერიალისტური იაპონია.

ბრძოლა 23 დღეს გაგრძელდა, რის შემდეგ იაპონიის მილიონიანმა არმიამ შეწყვიტა არსებობა. წითელმა არმიამ იაპონელი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა მთელი მანჯურია და კორეა.

საბჭოთა კავშირმა დაიბრუნა თავისი ტერიტორიები: სამხრეთ სახალინი, კურილის კუნძულები, ნავსადგურები პორტ-არტური, დალნი და სხვ.

იაპონიაზე გამარჯვების აღსანიშნავად საბჭოთა მთავრობამ 3 **სექტემბერი გამოაცხადა საყოველთაო სახალხო დღესასწაულად—იაპონიაზე გამარჯვების დღედ.**

საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის მეორე ფრონტის მებრძოლები იაპონიაზე გამარჯვების წლისთავის ზეიმზე ქალაქ ხარბინში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

ფრთაშესხმული დავუბრუნდით

ბევრ ნაკადულს დავეწაფეთ,
ბევრი კორდი გადავლახეთ,
გზას ვებრძოლეთ და სამშობლოს
სილამაზე ისე ვნახეთ.

ტყე გვხვდებოდა ხშირად მთებში
მჩატე ნისლის თეთრი ნაბდით,
გზას გვითმობდა,—ფრთები გვესხა,
ჩიტებივით მივფრინავდით.

ძივდიოდით, ქუდს ვუხდიდით
სახელოვან ძრავალ ქართველს.
ღამეც ვტეხეთ, მაგრამ დილით
ჩვენ არ ვგავდით ღამენათევს.

ვკრეფდით ლამაზ მთის ყვავილებს,
ვსდევდით პეპლებს ფრთაფარფატებს,
ბევრი ხევი და ჩანჩქერი
რვეულებში ჩავიხატეთ.

დღეები და მასპინძლობა
არ ჰქონია ზაფხულს ცუდი.
გაგვახარა და ჩვენც სკოლებს
ფრთაშესხმული დავუბრუნდით.

ძერხებს მკვირცხლად მივაშურეთ
ხმაწკრიალა ზარის ხმაზე;
აქაც დაგვხვდა ჩვენი ქვეყნის
სიუხვე და სილამაზე.

ცნობილმა რუსმა მწერალმა ალექსანდრე ფადეევმა სამამულო ომის თემაზე დაწერა რომანი „ახალგაზრდა გვარდია". რომანში მწერალი მოგვითხრობს გერმანელთა ოკუპაციის პირობებში დარჩენილი ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტების გმირულ თავდადებას სამშობლოს მტერთან ბრძოლაში. საგულისხმოა, რომ ახალგაზრდა პატრიოტები, რომლებიც პირისპირ აღმოჩნდნენ მტერთან ოკუპაციის მძიმე პირობებში კი არ დაიბნენ, არამედ სწორი ორგანიზაციული გზა იპოვეს და გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ შეურიგებლად მებრძოლი არალეგალური ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს.

ალექსანდრე ფადეევის რომანის გმირები—ოლეგ კოშევოი, ვანია ზემნუხოვი, ულიანა გრომოვა, სერგეი ტულენინი, ლუბოვ შევცოვა, ანატოლი პოპოვი, ნიკოლოს სუმსკი და მრავალი სხვა, ამ რომანში მოქმედი გმირები, სრულყოფილი საბჭოთა ახალგაზრდა პატრიოტები არიან. ყველა ისინი ერთი ქალაქის—კრასნოდონის მცხოვრებნი იყვნენ. სწავლობდნენ ამ ქალაქის სკოლებში და ომამდე იცნობდნენ ერთმანეთს. ისინი სპეციალურად არავის მოუმზადებია გერმანელების წინააღმდეგ მებრძოლ პარტიზანებად. მაგრამ როცა დონბასში შემოიჭრნენ ოკუპანტები, ეს ახალგაზრდები შეკავშირდნენ და შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადეს მტერს, თავგამოდებით იბრძოდნენ სამშობლოსა და ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** სიყვარულით შთაგონებულნი.

საბჭოთა ახალგაზრდობა მუდამ სიამაყის გრძნობით მოიგონებს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობისათვის კრასნოდონელი ახალგაზრდების მიერ ჩატარებულ, გასაოცარი გმირობით აღსავსე ბრძოლებს.

სტალინური პრემიის ლაურეატი
მწერალი—
ალექსანდრე ფადეევი

ალექსანდრე ფადეევი

თავი მეათე

ურდოს მთელ იმ ნაწილში, სადაც ვანია და ჟორა გავიდნენ და სადაც № 1-ბის მაღაროს დირექტორის ვალკოს შავგვრემანი სასტიკი ხელი მბრძანებლობდა, უკვე წესრიგი იყო: მანქანები და საზიდრები ცალკე იდგნენ, მწკრივად დაწყობილნი, ყველგან ამოთხრილი იყო თავშესაფარი ხვრელები. მაღაროს საბარგო მანქანის მახლობლად მარაგად ეყარა ხუტორის ღობის წნელის რამდენიმე მეტრი შეშა. ძალუა მარინე და ულია ახალი კომბოსტოს შეჭამანდს ხარშავდნენ.

ეს ბებერი ბოშა ვალკო ნამდვილი სამეურნეო კაცი იყო. შეუგროვებია თავისი მუშები და ხუთამდე კომკავშირელი ჭაბუკი, შეზრდილი შავი წარბებიდან ისე მკაცრად გამოიყურება, რომ ხალხი გზას უტევს. ვალკო ახლა მძიმე ნაბიჯით მიდის გადასასვლელისაკენ, იმ იმედით, რომ ხელი მოჰკიდოს მთელ ამ საქმეს.

ისე როგორც ბევრი სხვა დიდი სამეურნეო მოღვაწე, თანამედროვე უდიდესი მაშტაბის სრულყოფილ საწარმოთა ხელმძღვანელები, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობის გზაზე ისწავლეს ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვა, ვალკო სამხრეთის ფრონტზე უკანდახევას, რომლის მსხვერპლი კინაღამ თვითონაც გახდა, თავის გულში ხსნიდა არა მარტო იმით, რომ გერმანელებმა აქ თავი მოუყარეს ჯარისკაცების, თვითმფრინავებისა და ტანკების ჭარბ ძალებს, არამედ იმითაც, რომ სამხედ-

რო ადამიანებმა ფრონტზე ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს მათს განკარგულებაში გადაცემული, გაუმჯობესებული მანქანებისა და წარმოებაში მომზადებული ადამიანების გამოყენება. ვალკო ამავე მიზეზით ხსნიდა იმასაც, რომ გადასასვლელთან თავი მოეყარა რამდენიმე ათას ადამიანს, მანქანებსა და საზიდრებს და რომ ასეთი უწესრიგობა იყო. და იმ წუთიდან, რაც აქ მოხვდა, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ წესრიგი დაემყარებინა.

იმავე წუთიდან, რაც ვალკო შეუდგა წესრიგის დამყარებას, ოლეგი ისევე იყო ბასზე შეყვარებული, როგორც რამდენიმე ხნის წინათ კაიუტკინზე, ხოლო უფრო ადრე ულიაზე.

უჩვეულო წყურვილი საქმიანობისა, სურვილი მთლიანად თავის გამოვლინებისა, სურვილი ადამიანთა ცხოვრებაში, მათს მოქმედებაში ჩარევისა, იმ ვარაუდით, რომ შეეტანა მასში რაღაც საკუთარი, უფრო სრულყოფილი, სწრაფმოქმედი და ახალი შინაარსით აღსავსე,—ეს ჯერ კიდევ არა სავსებით გააზრებული, მაგრამ მთელი არსების მომცველი და მისი ბუნების საფუძვლის შემადგენელი სულიერი ძალა დაეუფლა ოლეგს.

— ვახ, რა კა-რგია, ივანე, რომ ერთმანეთს შე-ევხვდით!—ენის ოდნავი ბორძიკით მხიარულად ეუბნებოდა ოლეგი, თან ზემნუხოვის გვერდით ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ვალკოს.—კარგია, რომ ერთმანეთს შევხვდით, რადგან, ხომ ხედავ, უშენოდ მოწყენილი ვიყავი! შენ კი თურმე მხიარულად ყოფილხარ! უ-უ, ძმაო! ოლეგმა თვალითა და სალოკი თითით ვალკოს ზურგზე ანიშნა. — დიახ, ჩემო ძმაო, ამ ქვეყნად მთავარი ძალა ორგანიზაციის ძალაა,—ამბობდა იგი და თან ოქროსფერი წამწამების ქვეშ აბრიალებდა თვალებს. — უმისოდ, ალბათ, ყველაზე საჭირო და კარგი საქმეც ისე დაიშლება, როგორც ქსოვილი დაიცრიცება სადმე და ირღვევა ცალკე ძაფებად. მაგრამ საკმარისია ხელი მოჰკიდო და ნებისყოფა გამოიჩინო...

— გაიხედავ და შენვე ცხვირ-პირს დაგინაყავენ!—უკანმოუხედავად წარმოსთქვა ვალკომ.

ყმაწვილებმა დამსახურებულად შეაფასეს მისი პირქუში ხუმრობა.

ისე, როგორც ფრონტზე, არმიის მეორე ეშელონში მოხვედრისას, ძნელია წარმოიდგინო წინა ხაზზე წარმოებული ბრძოლების ძოცულობა და მათი სიმძაფრე, ასევე შეუძლებელია მდინარის გადასასვლელზე, მის ღრმა ზურგში, უკანასკნელ რიგში ყოფნისას, იმსჯელო უბედურების ნამდვილი ოდენობის შესახებ.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ისინი გადასასვლელს, მით უფრო არეული, გაჭირვებული ხდებოდა გადამსვლელთა მდგომარეობა, მით უფრო ძნელავდებოდა საერთო გააფთრება, როძელიც უკვე იმდენად ფესვგადგმული და იმდენად გამძაფრებული იყო, რომ შეიარაღებული ძალის ჩარევის გარდა სხვა რამეს ძნელად თუ შეეძლო მისი დაშოშმინება. ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა ახლოს მისულიყვნენ მცურავ ხიდთან, წინა მანქანებზე უკანა მანქანების მიძალებისა და მათ შორის ადამიანთა მასის მოძრაობის შედეგად, ყველა სახის ტრანსპორტი ისე მჭიდროდ და გამოუსწორებლად იყო ერთიმეორეში არეული, ყოვლად წარმოუდგენელ მდგომარეობაში შეჩრილი, რომ უკვე არავითარი საშუალება აღარ იყო სხვაგვარ წესრიგზე მათ მოსაყვანად, თუ არა კვლავ თანდათანობით წინწაწევა.

აუტანელ სიცხეში, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა ეს შეჯგუფება, ადამიანები ოფლში იწურებოდნენ, სწყევლიდნენ ერთი-მეორეს და იმ ზომამდე იყვნენ გაცეცხლებულნი, თითქოს ერთმანეთის მიკარებით შესაძლოა აფეთქდნენო. ჰაერში ტრიალებდა გაშმაგებული ლანძღვა-გინება. გამოურკვეველი იყო, ვინ ვის ლანძღავდა და აგინებდა.

სამხედრო ადამიანებს, რომლებიც ამ გადასასვლელს განაგებდნენ, უკვე რამდენიმე დღე და ღამის განმავლობაში არ სძინებიათ. გაშავებულნი უძილობისა და მზისგან, რომელზედაც დილიდან საღამომდე იხრაკებოდნენ, ათასობით ფეხისა და თვლების განუწყვეტელი მოძრაობით ამდგარი მტვრისაგან, ხმაჩახლეჩილნი ლანძღვა-გინებისაგან, აღგზნებული ქუთუთოებით და ოფლიანი შავი ხელებით, ისინი მისულიყვნენ ნერვული დაღლილობის იმ ზომამდე, როცა უკვე ვეღარაფერს იჭერდნენ ამ ხელებში, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ თავიანთ არაადამიანურ სამუშაოს.

სავსებით ცხადი იყო, რომ უფრო მეტის გაკეთება, ვიდრე ეს ადამიანები აკეთებდნენ, ყოვლად შეუძლებელი იყო, მაგრამ ვალკო მაინც ჩავიდა ხიდის თავზე და მისი ჩახლეჩილი ხმა უკვე დაიკარგა სხვა ხმებსა და მანქანების ხმაურში.

ოლეგმა თავის ამხანაგებთან ერთად ძლივს გააღწია ნაპირამდე. ახლა იგი იდგა აქ და მოზრდილი ბავშვის დაძაბული ყურადღებით, გულგრილი და გაოცებული გამომეტყველებით შესცქეროდა ამ მტვერსა და სიცხეში ჩაშვავებულსა და საოცარ მა-

სად ჩაზელილ ნაპირს, სადაც ერთიმეორეზე მიძვრებოდნენ პირთამდე დატვირთული საბარგო მანქანები და საზიდრები და სადაც განუწყვეტლივ მიდიოდნენ და მიდიოდნენ გაოფლიანებული, ჭუჭყიანი, გაბრაზებული, დამცირებული ადამიანები...

და მხოლოდ დონეცი, ეს ბავშვობიდან საყვარელი მდინარე, რომლის შუა წელზე მრავალჯერ გამგზავრებულან მოსწავლე ყმაწვილები საბანაოდ და სათევზაოდ, მხოლოდ დონეცი, ამ ადგილებში განიერი და მდორე, წინანდებურადვე მიაქანებდა თავის თბილსა. და მომღვრიო წყალს.

— არა, მაინც კი მინდა, რომ ვინმეს ცხვირ-პირი დავუნაყო! — უცებ წარმოსთქვა ვიქტორ პეტროვმა, რომელიც გაბედული თვალების ნაღვლიანი გამომეტყველებით შესცქეროდა არა გადასასვლელს, არამედ მდინარეს; იგი ხუტორ პოგორელოედან იყო, ამ მდინარის ნაპირზე გაიზარდა.

— სწორედ ეგ არის, უკვე მეორე ნაპირზე ხარ!—იოხუნჯა ვანიამ.

ყმაწვილებმა ჩაიცინეს.

— დარტყმა აქ კი არა, იქ უნდა!—ცივად წარმოსთქვა ანატოლიმ, თან უზბეკური ქუდიანი თავი დასავლეთით გაიქნია.

— სრული სიმართლეა!—დაემოწმა ჟორა.

თითქმის იმავე წუთას, როგორც ეს წარმოსთქვა, ყვირილი გაისმა:

— ჰაერი!

და უეცრად დაიგრიალეს საზენიტო ქვემეხებმა, დაიკაკანეს ტყვიამფრქვევებმა. ცაში გაისმა მოტორების გუგუნი და გადმოყრილი ბომბების გამაყრუებელი მზარდი გრიალი.

ყმაწვილები მიწას გაენართხნენ. მახლობელმა და უფრო შორეულმა აფეთქებამ ირგვლივ ყველაფერი შეარყია, გადმოცვივდა მიწის გოროხები და ნაფოტები, თვითმფრინავების პირველ წყებას ერთბაშად მოჰყვა მეორე, მესამე წყება, და წვილმა, ზუზუნმა, გრუხუნმა, აფეთქებული ბომბების გრიალმა, საზენიტო ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლმა თითქოს მთელი სივრცე აავსო მიწიდან ცამდე.

თვითმფრინავებმა გადაიქროლეს, ადამიანებმა დაიწყეს წამოდგომა და ამ დროს საიდანღაც, არც თუ ისე შორიდან, ხუტორის მხრივ, სადაც ღამე გაათიეს ჟორამ და ვანიამ, ზარბაზნების გახშირებული სროლა გაისმა. წუთის შემდეგ შიგ შუა ბანაკში სკდებოდა ყუმბარები და ჰაერში აიმართნენ მიწისა და ნაფოტის სვეტები.

წამომდგარი ადამიანები ზოგი ისევ ძირს დაეშვა, ზოგმა კი პირი იბრუნა სწორედ იქითკენ, სადაც ყუმბარები სკდებოდა, და იმავე დროს თვალს არ აშორებდნენ გადასასვლელს. გადასასვლელის გამგებლის სამხედროების სახის გამომ[illegible] ... და მათი საქციელის მიხედვით ადამიანები მიხვდნენ, რომ აქ რაღაც გამოუსწორებელი რამ მოხდა.

გადასასვლელის გამგე სამხედროებმა ერთიმეორეს გადახედეს, წუთით შედგნენ, თითქოს ყურს უგდებდენო. უეცრად ერთი მათგანი სირბილით შეიჭრა პონტონის თავთან ამოთხრილ ბლინდაჟში, მეორემ ხმამაღლა გადასძახა სანაპიროს და რაზმს მოუხმო.

წუთის შემდეგ სამხედრო სირბილით გამოვარდა ბლინდაჟიდან, მკლავზე ორი ფარაჯა გადაეკიდებინა, მეორე ხელით კი საბარგო ტომრებს მოათრევდა ღვედებით; ორივე სამხედრო და საკომენდანტოს რაზმის მებრძოლები, უმწკრივოდ, სირბილით შეიჭრნენ მშრალ ხიდზე, წინ უსწრებდნენ ხიდზე და ხიდის მიმართულებით ხელახლა დაძრულ მანქანებს.

ის, რაც ამას მოჰყვა, ისე მოულოდნელად და სტიქიურად მოხდა, რომ არავის შეეძლო ეთქვა, თუ რით დაიწყო ყოველივე ეს. ვიღაცეები ფეხდაფეხ ყვირილით მიჰყვნენ სამხედროებს. რაღაც არევ-დარევა მოხდა მანქანებს შორის, ზედ ხიდის თავზე: რამდენიმე მანქანა ერთბაშად შეჯლიგინდა პონტონზე, ერთიმეორეს დაეტაკნენ, გაისმა ჯახანი: თუმცა ამის იქით გზა აშკარად გაჭედილი იყო მანქანებით, მაგრამ უკანა მანქანები წინა მანქანებს ეძალებოდნენ და მოტორების საშინელი ღრიანცელით განაგრძნობდნენ ერთიმეორეზე თავდასხმას ამ პონტონზე შეჯგუფებული მანქანების ჯახანში. ერთი მანქანა წყალში გადავარდა, მას მიჰყვა მეორე, მესამე უკვე გადასავარდნად იყო, მაგრამ წამყვანმა ხელის ძლიერი მოძრაობით მუხრუჭით ერთ ადგილზე გააქვავა.

ვანია ზემნუხოვმა, რომელიც ბეცი თვალებით განცვიფრებული შესცქეროდა ამ მანქანებს, უცებ წამოიყვირა:

— კლავა!

იგი უმალვე ხიდის თავისკენ გაექანა.

დიახ, ეს მესამე მანქანა, რომელიც კინაღამ გადაეშვა წყალში, იყო კოვალიოვის მანქანა, რომელშიც ნივთებზე ისხდნენ თვითონ კოვალიოვი, მისი ცოლი, ქალიშვილი და კიდევ ვიღაც სხვები.

— კლავა! — ისევ დაიყვირა ვანიამ, რომელიც არავინ იცის, თუ როგორ გაჩნდა მანქანასთან.

ადამიანები ხტებოდნენ მანქანიდან, ვანიამ ხელი გაუწოდა და კლავაც გადმოხტა.

— მორჩა! ჯანდაბას!—ისე წარმოსთქვა კოვალიოვმა, რომ ვანიას გული გადაუცივდა.

კლავა, რომლის ხელის დაჭერა დიდხანს ვერ გაბედა, თუმცა არა ხედავდა, მაინც ცერად შესცქეროდა ვანიას და კანკალებდა.

— სიარული თუ შეგიძლია? სთქვი, შეგიძლია?—სატირალი ხმით ეკითხებოდა კოვალიოვი თავის ცოლს, რომელსაც გულზე ეჭირა ხელი და, პირდაღებული, თევზივით ძლივს იჭერდა ჰაერს...

— დაგვტოვე, ჩვენ დაგვტოვე... გაიქეცი... ისინი მოგკლავენ,—ლუღლუღებდა გულამომჯდარი ქალი.

— რა იყო, რა მოხდა?—შეეკითხა ვანია.

— გერმანელები! — წარმოსთქვა კოვალიოვმა.

— გაიქეცი, გაიქეცი, ჩვენ დაგვტოვე! — იმეორებდა კლავას დედა.

კოვალიოვს ცრემლი წასკდა და ხელი ჩაავლო ვანიას.

— ვანია!—ტირილით წარმოსთქვა მან,— უშველე ამათ, ნუ მიატოვებ... თუ ცოცხალი დარჩით, ქვემო ალექსანდროვკაში წადით, იქ ნათესავები გვყვანან... ვანია! შენი იმედი...

ზედ ხიდის თავზე მიძალებულ შეჯგუფებულ მანქანებში გასკდა ყუმბარა.

ნაპირიდან დაძრული სამხედრო და სამოქალაქო ადამიანები უხმოდ მიაწყდნენ პონტონს.

კოვალიოვმა ხელი გაუშვა ვანიას, სწრაფად მიბრუნდა ცოლისკენ, მერე ქალიშვილისკენ, ეტყობოდა, უნდოდა გამომშვიდობებოდა მათ, მაგრამ გონდაკარგულმა უცებ ორივე ხელი ჩაიქნია და სხვებთან ერთად სირბილით გაიჭრა მცურავ ხიდზე.

ოლეგი ნაპირიდან ეძახოდა ზემნუხოვს, მაგრამ ვანიას არაფერი ესმოდა.

— წავიდეთ, ვიდრე დაგვამტვრევენ! — მკაცრად, დინჯად, უთხრა ვანიამ კლავას დედას და მკლავზე ხელი მოჰკიდა.—წავიდეთ იმ ბლინდაჟში, გესმის? კლავა, მომყევით, გესმის?—მკაცრად და ნაზი ხმით ეუბნებოდა იგი.

სანამ ბლინდაჟში ჩავიდოდნენ, ერთხელ კიდევ შეასწრეს თვალი, რა გამალებით ფუსფუსებდნენ მებრძოლები ქვემეხების ახლოს, როგორ მოხსნეს ლულებს რაღაც მძიმე ნაწილები, აიღეს, სირბილით გაიტანეს ხიდზე და რამდენიმე ხნის შემდეგ წყალში გადაყარეს. მდინარის მთელ სიგრძეზე, ხიდის ზემო და ქვემო მხარეზე ცურვით გადადიოდნენ ადამიანები და საქონელი, მაგრამ ვანია ამას ვეღარ ხედავდა.

მისი ამხანაგები, რომლებმაც მხედველობიდან დაკარგეს ვანიაცა და ვალკოც, ცდილობდნენ არ მოხვედრილიყვნენ მათ პირდაპირ დაძრულ ადამიანთა ნიაღვარში და გარბოდნენ იმ ადგილისაკენ, სადაც თავისი საზიდრები დატოვეს.

— ერთად იყავით, ჩვენც ერთად უნდა ვიყოთ!—ოლეგი თავისი ლონიერი, განიერი მხარ-ბეჭით ყველაზე წინ მიარღვევდა შეჯგუფებულ ხალხს, თან ყვიროდა, ყმაწვილებისკენ იცქირებოდა ანთებული, ბრაზმორეული და ამ სიბრაზისაგან ჩაყვითლებული თვალებით.

მთელი ურდო აირია და უკვე იშლებოდა, მანქანები მოტორების თუხთუხით გვერდით მისდევდნენ ერთმანეთს, ხოლო ის მანქანები, რომლებმაც უკვე მოასწრეს

აქედან დაძრომა, ნაპირის გასწვრივ მდინარის ქვემო მხარისაკენ გაექანენ.

იმ დროს, როცა თვითმფრინავებმა გადმოიქროლეს, ძალუა მარინე ჩაცუცქული იყო, ცეცხლს უკეთებდა გამხმარ ფიჩხს, რასაც ძია კოლია საარტილერიო ხანჯლით ჩეხდა, ულია კი იქვე, გვერდით იჯდა ბალახზე და ისეთ ფიქრს მისცემოდა, რომ მის სახეზე, სადღაც ტუჩების კუთხეებთან და ნესტოების თხელ ჭრილებში, საშინელი ძალის ხაზები ისახებოდა. ახლა ულია შესცქეროდა მანქანის გვერდზე მჯდომ გრიგოლ ილიას-ძეს, რომელიც გადაჰხვეოდა ცისფერთვალა გოგონას; იგი წელან რძეს ასმევდა ამ გოგონას, რაღაცას ეჩურჩულებოდა ყურში და აცინებდა. მანქანა, რომლის გარშემო აღმზრდელთა მეთვალყურეობით თამაშობდნენ ბავშვები და რომლის მახლობლად იჯდა ყველაფრისადმი გულგრილი დამოკიდებულებით გამომზირალი საბავშვო სახლის გამგე ქალი, სულ ოცდაათიოდე მეტრი მანძილით იყო დაშორებული იმ ადგილს, სადაც კოცონი იყო გაჩაღებული. საბავშვო სახლი, ისე როგორც პეტროვისა და კოშევოის საზიდრები, სხვა საზიდრების მწკრივში იდგნენ.

თვითმფრინავებმა ისე მოულოდნელად გადმოიქროლეს, რომ ვერავინ მოასწრო ჩახტომა ღია თავშესაფარში, ყველანი იქვე, მიწაზე დაეცნენ. მიწაზე დაცემულმა ულიამ გაიგონა ჩამოვარდნილი ბომბის თითქოს ზემოდან ქვემოთ განფენილი, ქარიშხალივით მზარდი ზრიალი; იმავე წუთს გაისმა ჭექა-ქუხილი, მკვეთრი გრიალი, თითქოს ეს მომხდარიყოს არა ულიას თავზე, არამედ მის სხეულში. ჰაერმა სტვენით გადაუქროლა თავზე და მიწა მიაყარა ზურგზე. ულიას ესმოდა ცაში მოტორების გუგუნი. კვლავ ეს ზუზუნი, მაგრამ უკვე შორეული, და სულ ასე იწვა მიწაზე გართხმული.

არ ახსოვდა, როდის წამოდგა, ან რამ უკარნახა, რომ საჭირო იყო და შეიძლებოდა ადგომა. უეცრად დაინახა მის გარშემო გაშლილი ქვეყანა და სულის სიღრმიდან აღმოხდა რაღაც ვნებიანი, მხეცური კვნესა.

მის წინ უკვე აღარ იყო არც № 1-ბის მაღაროს მანქანა, არც გრიგოლ ილიას-ძე, არც ის ცისფერთვალა გოგონა, ისინი მახლობლად არსად ჩანდნენ. იმ ადგილას, სადაც მანქანა იდგა, მოჩანდა გადმობრუნებული, დამწვარი, შავი მიწის ორმო, ხოლო იმ ორმოს გარშემო სხვადასხვა ადგილას ეყარა მანქანის შერუჯული ნაწილები, ბავშვთა დასახიჩრებული გვამები. ულიადან რამდენიმე ნაბიჯზე ინძრეოდა მიწაში ამოვლებული წითელხილაბანდიანი უცნაური ნაგლეჯი. ამ ნაგლეჯში ულიამ შეიცნო საბავშვო სახლის გამგე ქალის ტანსაცმლის ნაწილი, ქვედა ნაწილი კი პირდაპირ [illegible] დებზე ჩაცმული რეზინის ბოტებიანად არსად ჩანდა,—იგი საერთოდ აღარსად იყო.

რვა წლის ბიჭს საშინელი ჭინთვით თავი მიწაში ჩაერგო, ხელები კი ზურგზე შემოედო, თითქოს უნდა ისკუპოსო, ერთ ადგილას ტრიალებდა, ფეხებს აბაკუნებდა და წიოდა.

ულია თავდავიწყებით მიიჭრა ყმაწვილთან, უნდოდა მოხვეოდა, მაგრამ ყმაწვილი საშინელი წივილით აფართხალდა მის ხელებში. ულიამ მაღლა აუწია თავი და ნახა, რომ სახე ბებერასავით შეშუპებოდა და ამოვარდნილი თეთრი თვალები უპეებზე დაჰკიდებოდა.

ულია მიწაზე დაეშვა და აქვითინდა.

ყველაფერი გარბოდა გარშემო, მაგრამ ულია უკვე ვერაფერს ხედავდა, არც არაფერი ესმოდა. იგრძნო მხოლოდ ის, რომ მის გვერდით გაჩნდა ოლეგ კოშევოი. იგი რაღაცას ამბობდა და თან თავის დიდრონ ხელებს თმაზე უსვამდა ულიას, თითქოს ცდილობდა ფეხზე წამოეყენებინა, ულიას კი სახეზე ხელები მიეფარებინა და ქვითინებდა. ზარბაზნების სროლის, ყუმბარების სკდომისა და ტყვიამფრქვევთა შორეული კაკანი ესმოდა ულიას, მაგრამ ყოველივე ეს ახლა უკვე სულერთი იყო მისთვის.

უცებ მოესმა ოლეგის ძალზე ჭაბუკური, მთრთოლვარე, მკვეთრი ხმა:

— გერმანელები!

ეს კი მისწვდა ულიას გონებას, ტირილი შეწყვიტა და უცბად გასწორდა. წუთში იგრძნო გვერდით მდგომი ოლეგი, ყველა თავისი ამხანაგი, ვიქტორის მამა, ძია კოლია, მარინე ბავშვით ხელში, თვით პაპაც კი, რომელსაც მოჰყავდა ოლეგი და მისი ნათესავები,—არ იყვნენ მხოლოდ ვანია ზემნუხოვი და ვალკო.

ყველა ეს ადამიანი უცნაური გამომეტყველებით დაძაბულად გასცქეროდა ერთი მიმართულებით, ულიამაც გაიხედა იმავე მიმართულებით.

იმ მხარეზე, რაიმე ნასახიც კი არ იყო ბანაკისა, რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინათ გარს ეხვია მას. ახლა მათ წინ გავარვარებული ცის ქვეშ გადაშლილიყო ელვარე მზის შუქით მომუქო-თეთრად გაქათქათებული ტრამალი. ჰაერის ამ მომუქო-თეთრ ბრწყინვაში, გაქათქათებული ტრამალით მათ პირდაპირ მოემართებოდნენ ვასაკის ფერად შეღებილი გერმანელთა მწვანე ტანკები.

თარგმანი პოლიო აბრამიასი.

რ. თავდიდიშვილი

ნახატები ი. რაზმაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედინაცვალი

თინა და მანანა ობლები იყვნენ. მათი დედა რომ გარდაიცვალა, თინა შვიდი წლისა იყო, მანანა კი რამდენიმე თვისა.

ეს მოხდა გაზაფხულზე, ბუნება ყვაოდა. იგი ზღაპრული პატარძალივით მორთულიყო; მრავალნაირი ყვავილი გაფურჩქნილიყო და უხვად აფრქვევდა ჰაერში საამო სურნელებას. თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებული ფრინველები ყივილ-ხივილით ტრიალებდნენ ჰაერში და თავიანთ ბუდეებს უბრუნდებოდნენ. ადიდებული მდინარე ხმაურით და ღრიალით მიაგორებდა ქვებსა და ლოდებს. კეკლუცად მორთული არემარე ხიბლავდა ადამიანის თვალს; ობლების მამა მაკრო კი დალონებული დადიოდა; მას არ ახარებდა არაფერი, მხოლოდ ბავშვებს მეტი ყურადღებით უვლიდა. დილით სამუშაოზე მიმავალი, თინას საბავშვო ბაღში მიაცილებდა, პაწია მანანა კი ბებია ანასთან რჩებოდა. ბებია მას დიდი მზრუნველობით უვლიდა, დილიდან საღამომდე მის ირგვლივ ფუსფუსებდა, ბავშვს უდედობას არ ამჩნევინებდა.

ივნისის ერთ საღამოს თინას მამა მაკრო, შინ სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი მოვიდა. წყეულმა მტერმა უეცრად გადმოლახა საბჭოეთის საზღვარი. ქვეყანა ფეხზე დადგა და მაკროც, როგორც სხვა მრავალი საბჭოთა პატრიოტი, უნდა წასულიყო სამშობლოს დასაცავად.

ოთხი წლის განმავლობაში მაკროს ოჯახი ხშირად იღებდა მისგან წერილებს, რომლებითაც ის იტყობინებოდა თავისი დაჯილდოებისა და დაწინაურების ახალ ამბებს, ანუგეშებდა მოხუც დედას და უსუსურ ბავშვებს: მალე დამთავრდება ომი და ჩამოვალო.

თინიკო გაიზარდა, სკოლაში დაიწყო სწავლა და გაუკვეთავი ხელით წერილებსაც სწერდა მამას. ახარებდა ფრიადოსნობას, სთხოვდა, არ იდარდო ჩვენზეო.

მანანაც წამოიზარდა, ლაპარაკი ისწავლა. ყველას აჩვენებდა მამის სურათს. ეტიტინებოდა, — მამა ბევრ საჩუქარს ჩამომიტანს და მალეც დაბრუნდებაო.

აი დადგა გამარჯვების საბედნიერო დღე. დამთავრდა ომი. ანამ მაკროს წერილი მიიღო. იწერებოდა, მალე ჩამოვალ შვებულებაშიო. თინიკოს სიხარულს საზღვარი არა აქვს, მამას ელის. მანანასაც თვალი კარისკენ უჭირავს, ყოველი გახმაურება მამის დაბრუნება ჰგონია, თავის დედოფალას ეუბნება:— იცი, ბაბა, ჩემი მამა ჩამოდის, ბევრ საჩუქარს ჩამომიტანს. შენც შეგიკერავ ახალ კაბას.—მერე ფანჯარასთან მიირბენს და ჩიტებს ახარებს:—ჩიტებო, მოდის ჩემი მამა, რომ მახარებდით მოვაო. შემდეგ ფისოს მოუბრუნდება და ხელების გაშლით ეუბნება—ფისუნია, ჩემი მამა ჩამოდის, გესმის, ფისო? ჩამოვა ჩემი მამიკო, იმდენ საჩუქარსა და ტკბილეულს ჩამომიტანს, იმდენს...

დედოფალა ჩუმადაა, ფისოს თვალები

დაუნაბავს, კრუტუნებს; მანანას უხარია ფილოსოს გახმაურება, ბურთის გაუგორებს სათამაშოდ, მისდევს, ბურთი ტახტის ქვეშ მიგორავს, ფილოსოც თან მიჰყვება, ისევ გამოაგორებს, მანანა იცინის, კისკისებს, ბებია და თინაც იცინიან, ხარობენ.

* * *

ანას სახლი მახლობლებითაა სავსე, გაუგიათ შაქროს ჩამოსვლის ამბავი და ულოცავენ, მოსულან სანახავად. ოჯახში სიმხიარულეა. ანა ვერ აუდის მომსვლელების მიღებას და გასტუმრებას. შაქროს ორივე შვილი გაზრდილი დახვდა, უხარია, ერთიმეორეს სჯობნიან თინიკო და მანანა. შაქრო ხან ერთს ეხვევა, ხან მეორეს, ხან კიდევ მოხუცდედას. მანანა მამას კალთიდან არ შორდება, ორდენებსა და მედლებზე ეპოტინება, მეც რატომ არ ჩამომიტანეო, ებუტება.

ანამ კერძი ჩამოარიგა, სტუმარი ქალი შაქროს გვერდით იჯდა. შუა ჭამაში უცებ მანანამ ჰკითხა ბებიას:—ბებია, ბებიკო, მამა რომ ჩამოვიდა, დედა სადღაა, შენ მეუბნებოდი, დედასაც ჩამოგიყვანსო, სადღაა დედა?!.

— აი თქვენი დედა, შვილებო!—აჩქარებით მიუგო შაქრომ და მიუთითა სტუმარ ქალზე. პატარა მანანა მაშინვე გაექანა და დედინაცვალს კისერზე ჩამოეკიდა, თინა კი ერთბაშად შეიცვალა და მოიღუშა. დედინაცვალი არ დაიბნა. მანანას ალერსით შეეგება, ხოლო თინას უკმაყოფილება რომ შეამჩნია, ქმარს ხელით ანიშნა არა ეთქვა რა აღელვებული გოგონასთვის.

ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ისევ შაქრომ დაარღვია სიჩუმე და უთხრა თინიკოს:—აკოცე, შვილო, დედას!

— არა.—მკაცრად უპასუხა თინამ,—ეგ ჩემი დედა არ არის, მე დედინაცვალი არ მინდა.

კვლავ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, უარესი უხერხულობა გამეფდა.

— არა უშავს რა, შემეჩვევა, დაეხსენ ახლა ბავშვს,—იმედიანად უთხრა შაქროს ცოლმა.

თინამ ყური მოჰკრა ამ სიტყვებს და თავისთვის ჩაილაპარაკა: „არასოდეს, მე სხვა დედას არ შევიყვარებ, ჩემი დედიკო მიამბობდა ზღაპრებს. როდის იყო დედინაცვალი კარგი?“ აცრემლებული თინა მეორე ოთახში გავარდა და ბებიას შემოეჭდო კისერზე. ბებიამ დაუწყო თინას დარწმუნება, რომ ეთერი ნამდვილი დედის მაგივრობას გაუწევდა.

— შენ ახლა პატარა ალარა ხარ, თინიკო, უნდა გაუსწორო თვალი ეთერს, ის შენ მა-

მიკოს ფრონტზე გაჭირვების დროს გვერდში ედგა, მან მძიმედ დაჭრილი შაქრო ბრძოლის ველიდან თავისი ზურგით მიიყვანა მედპუნქტამდე. აბა ნახე, მე დამიჯერე, რა კარგი, ტკბილი დედა იქნება, ნუ გაებუტები. მამა თუ გიყვარს, შეეჩვიე, შვილო, შეუერიგდი სხვა დედას.—ბებია არიგებდა, თინა კი ისევ გულამოსკვნილი ტირიოდა.

მანანა პირველი დღიდანვე შეეჩვია ეთერს, შეიყვარა, დედას ეძახდა. თინა ამაზე უფრო ბრაზობდა, მეტად ნერვიულობდა, ჩაფიქრებული დადიოდა.

თინიკოს მოწყენილობა მასწავლებელმაც შეამჩნია და როდესაც ერთხელ მარტო ნახა სკოლის დერეფანში, მზრუნველობით ჰკითხა:

— თინა, რად მოღუშულხარ? მითხარი, რა გაწუხებს, ან ვინ გაწყენინა?

თინამ თავი ძირს დახარა, თვალებიდან ცრემლები გადმოუცვივდა, გრძელ წამწამებზე დაეკიდა, მერე ლოყებზე დაედინა მარგალიტებივით. მასწავლებელს გაუკვირდა: პირიქით, უნდა ხარობდეს ბავშვი, ომგადახდილი მამა დაუბრუნდა, რაშია საქმე — გაიფიქრა, გადაწყვიტა მათ ოჯახში მისულიყო და მიზეზი გაეგო.

შაქროს შვებულება გაუთავდა, ნაწილში უნდა დაბრუნებულიყო. თინას ბუტიობა აფიქრებდა, როდემდის გაგრძელდება ასეო, მაგრამ არასოდეს არ უსაყვედურებდა, ელოდა კი თინას შემობრუნებას.

შაქროს წასვლის დღეც დადგა. შეიქნა კვლავ ფუსფუსი და მზადება მის გასამგზავ-

რებლად. ის იყო შაქრო სახლიდან უნდა გასულიყო, რომ ამ დროს თინამ შემოირბინა და მაშას მორცხვად უთხრა: — მამიკო, ჩემი მასწავლებელი მოდის.

— მობრძანდით, მობრძანდით, — გამოეგებნენ ყველანი მასწავლებელს. მან თინას ხელი მოხვია და გაჰყვა. მასწავლებელმა ოჯახში უცხო ქალი რომ დაინახა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ხედავს, მანანა არ შორდება დედინაცვალს, თინა კი ალმაცერად უცქერის. მისთვის გასაგები გახდა თინას მოწყენისა და ცრემლების მიზეზი. მაგრამ არა სთქვა რა, თავისი მოწაფის კუთხე და სასწავლო ნივთები დაათვალიერა, ყველაფერი რიგზე დახვდა, კმაყოფილი დარჩა და წავიდა.

შაქრო კვლავ ნაწილში გაემგზავრა, ოჯახში კი ყველაფერი რიგზე დატოვა, მხოლოდ თინას ჯიუტობა აწუხებდა.

* * *

თინა ბეჯითად სწავლობდა. მასწავლებელი ახლა უფრო განსაკუთრებით ადევნებდა თვალყურს და ეძებდა შესაფერ შემთხვევას, რომ ბავშვს გამოსაუბრებოდა ისე ფრთხილად, რომ გული არ ეტკინა მისთვის, ოღონდ დადებითი რამ ჩაეგონებინა დედინაცვალზე.

ერთხელ გაკვეთილზე მოწაფეებს წაუკითხა წიგნი, სადაც ეპიზოდურად მოთხრობილი იყო დაახლოებით ისეთივე შემთხვევა, როგორიც თინას ჰქონდა. მოთხრობაში აწერილი იყო დედინაცვლის სულგრძელობა, რითაც მან ბიჭის გული მოიგადარა.

ბავშვებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მოთხრობა და თავისებური აზრიც გამოსთქვეს მოთხრობაზე. თინისკომ არა სთქვა რა, მაგრამ ჩაფიქრდა, თვალწინ წარმოუდგა თავისი დედინაცვალი, რომელიც მანანასაც, თვით თინასაც თითქმის მშობლიური სინაზითა და მზრუნველობით ეპყრობოდა, განსაკუთრებით პატარა მანანას თავს ევლებოდა. იქნებ მართლაც შეიძლება, რომ დედინაცვალმა დაღუპული დედიკოს მაგივრობა გაგიწიოს, — დაასკვნა გოგონამ.

თინიკო იმ დროიდან საგრძნობლად შეიცვალა, მოლბა, წინანდებურად უხეშად აღარ ეჭცეოდა დედინაცვალს, აღარც მანანას ესაყვედურებდა: დედას ნუ ეძახო, ოდნავ გამხიარულდა კიდეც, ბავშვს სიცოცხლე დაიტყო. მაგრამ ძილით კი ისევ ბებიას ოთახში იძინებდა.

* * *

ერთ დღეს მანანა ავად გახდა, დედინაცვალმა მაშინვე ექიმს გამოუძახა. ექიმმა გასინჯა ავადმყოფი და სთქვა: ბავშის სახადი აქვსო, რჩევა-დარიგება მისცა და წავიდა.

ეთერი მანანას ერთი წუთითაც არ შორდებოდა, არ იძინებდა, ტანგაუხდელი ღამეებს ათევდა ბავშვის ლოგინთან. ისე გამოიცვალა ეთერი ამ ხნის განმავლობაში, ველარ იცნობდით: გაყვითლდა, თვალებ[illegible] ჩაულურჯდა. მანანას ავადმყოფობას ისე განიცდიდა, როგორც ნამდვილი მშობელი დედა. თინა აკვირდებოდა დედინაცვლის მოქმედებას, ნელ-ნელა დაუახლოვდა მას და ნანობდა, რად მოვექეცი მკაცრადო.

ერთხელ, როდესაც მანანა ექიმმა კვლავ გასინჯა, კმაყოფილმა უთხრა ეთერს:

— თქვენი ბავშვი უკვე გადარჩენილია, ეს ყველაფერი თქვენი კარგი მოვლის შედეგია, თორემ ძნელი იყო ასეთი ავადმყოფის გადარჩენა.

ეთერს სიხარულისგან ცრემლები გადმოსცვივდა, ექიმს დიდი მადლობა გადაუხადა. მიუბრუნდა მანანას, ალერსით ნაზად მოეხვია და თვალები დაუკოცნა. როდესაც ექიმი წავიდა, გახარებული ეთერი ბებია ანას მოეხვია. თინა კი შორიახლო იდგა და სინიდისი ჰქენჯნიდა, რატომ ადრევე არ შევიყვარეო. ერთხანს კიდევ იჯდა გაუნძრევლად, თითქოს აჩუყებულ გრძნობებში გარკვევას ცდილობსო, და როდესაც ბებია სამზარეულოში გავიდა, გაექანა, კისერზე ჩამოეკიდა დედინაცვალს და მოფერებით უთხრა:

— დედა, მაპატიე, შეც შემიყვარე მანანასავით, ახლა მეც აღარ მოგშორდები! არ დამემდურები, დედა?

— არა, ჩემო თინიკო, რა დაგიშავებია, რათ უნდა დაგემდურო, ჩემო კარგო ბოგონა, მოდი გაკოცო, შენცა და მანანაც ერთნაირად მიყვარხართ.

ეთერმა თინა მშობლიურად ჩაიკრა გულში. ამ დროს მანანას გამოღვიძებოდა და დედას დაუძახა. ეთერი სწრაფად მიბრუნდა მისკენ.

— დედიკო, მითხარი ზღაპარი, აი წითელქუდიანი, — უთხრა მანანამ და მოეხვია. ეთერი მძიმე ავადმყოფობიდან ახლადგამბრუნებულ მისუსტებულ ბავშვს იქვე ახლოს ჩამოუჯდა, თინიკოც გვერდით მოისვა და ის იყო ზღაპრის მოყოლა დაიწყო, რომ კარზე დააკაკუნეს. ბებიამ კარი გააღო. თოსტალიონმა მას დეპეშა გადასცა, რომელშიც ეწერა:

„საახალწლოდ შინ ვიქნები. გკოცნით ყველას. შაქრო“.

ანა ხახუბაშვილი (ცქვიტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები შ. ცხადაძისა

ილიას პირველი ნახვა

მაშინ მე მესამე კლასის მოწაფე ვიყავ და ძლიერ მოუსვენარს მეძახდნენ. ერთი ბებერი კლასის დამრიგებელი გვყავდა. იგი სასწავლებლის უფროსის და იყო და სამსახურში იმიტომ ითმენდნენ, თორემ ისეთი გამოჩერჩეტებული იყო, რომ მოწაფეები „ჭუკიად“ ნათლავდნენ. ეს ბებრუხანა თავით ფეხამდე თანაბრად იყო შემზმარი, მაგრამ ყვითელ სახეზე იმდენ პუდრს იყრიდა, რომ ჩვენმა კლასმა შემდეგ „ხვიმირის თაგვიც“ დაარქვა. მოქაჩლებულ თავზე მორთულობად სამი ადლისოდენა, ბანტებად დაკეცილი შავი არშია ბუერას ბრტყელი ფოთლებივით ედო.

მოწაფეებმა იმიტომ ავითვალწუნეთ ეს ჩვენი მშვენიერი „აღმზრდელი“, რომ ქართული სიტყვის გაგონება ჭირივით სძაგდა. ერთ დილით, ჩანთით კლასში რომ შევდიოდი, ვხედავ ამ ბებერს ახალი კაბა ჩაეცვა, გულზე ოქროს ძეწკვი გაეკეთებინა და ბლომად პუდრი შეეყარა... სიცილი ძლივს შევიმაგრე. კარებში შევეფეთე და უკბად უკან დავიხიე, რომ, როგორც მაშინ მიღებული იყო, „რევერანსი“ გამეკეთებინა. ის გამოვიდა, მე კი სუნთქვადაკარგული კლასში შურდულივით შევიჭერ და ხარხარით წამოვიძახე:

— ვერა ხედავთ როგორ გამოპრანჭულა! ალბათ, დღეს მამა სერგეის უნდა თავი მოაწონოს და გულისფანცქალით ელის მეთქი. ეს ისეთი პრანჭვა-გრეხით და ისეთი კილოთი წამოვიძახე, რომ ყველამ სიცილი მორთო. სერგეი გოროდცევი ჩვენს სასწავლებელში საღვთო სჯულს ასწავლიდა. იგი იყო რევოლუციონერების დაუძინებელი მტერი. აი ამ დეკანოზის დიდი თაყვანისმცემელი იყო ჩვენი ბებრუხანა და ის რომ გაპრანჭვით იმასთან ხელზე სამთხვევად მივიდოდა, სიცილით ვიგუდებოდით. იმ დღეს გოროდცევი უნდა მოსულიყო, და აფორიაქებულმა ქალმა რომ ჩემს ქართულს მოჰკრა ყური, ჭორივით დაგეცა: Хахутова, опять ты по своему тявкаешь? დამიყვირა მან და ხელათ სასჯელი გადამიწყვიტა: ყველა გაკვეთილი ფეხზე დგომით უნდა გამეტარებინა და ყოფაქცევაში ნიშნის დაკლებაც აღმითქვა. გული ნაღველით ამევსო, მაგრამ რაღას ვიზამდი? ვიცოდი, საშინელი ულმობელი იყო და უნდა მომეთმინა.

მეხუთე გაკვეთილად ქართული ენა გვქონდა. ბებრუხანა, რაკი ქართული ეჯავრებოდა, ამ გაკვეთილზე თავის დღეში არ რჩებოდა, რომ უგუნებოდ არ შექნილიყო. მე ამით ვისარგებლე და დავჯექი, რომ ჩემი სამარცხვინო სასჯელი ქართული ენის მასწავლებლისათვის არ მეჩვენებინა. ახალ გაკვეთილად ილია ჭავჭავაძის ლექსი „ქართვლის დედას“ მოგვცა; როდესაც მასწავლებელმა გოგებაშვილის „ბუნების კარი“ გადაშალა და მთელი თავისი გულის სითბოთი დაიწყო კითხვა:

„ქართვლის დედაო, ძუძუ ქართვლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...“

უკანა რიგებში, სადაც მე ვიჯექი, მოწაფეები შეიშმუშნენ და ჩურჩული ატეხეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი მერხზე დავემხე და ჩუმად ავტირდი. ეს სიტყვები, ალბათ, გულში ცეცხლად შეძეჭრა და მოთმინება დამაკარგვინა, თანაც ქართული ენის მასწავლებელი მფარველად გვეგულებოდა და უფრო თამამად ვიყავით.

მასწავლებელმა კითხვა შეწყვიტა და ჩემი ტირილის მიზეზი იკითხა. მოსწავლე მარიამ უგრელიძემ (ახლა ის პროფესორია) უამბო ყოველივე. მასწავლებელს სახე შეეცვალა:

— მათთან რად ლაპარაკობთ ქართულად, თავს რაზე ალანძღვინებთ, ვერა ხედავთ, რომ ქართულად ლაპარაკი აკრძალულია?

— მაშ, ქართულს რაღად გვასწავლიან? —გაუბედავად გამოეპასუხა მუდამ წყნარი და მორიდებული ნინო მაჩაბელი, მსახობ ელისაბედ ჩერქეზიშვილის ქალი.

— აი, აქ, გაკვეთილზე, რამდენიც გინდათ ილაპარაკეთ, აქ გული მოიჯერეთ და...

მასწავლებელმა საშინელი უხერხულობა იგრძნო, რადგან მისი პასუხი კითხვას სულ არ შეეფერებოდა, და ამიტომ ისევ წიგნს წამოავლო ხელი და გაკვეთილს დაუბრუნდა, რომ მეტი არა ეთქვა რა.



— უი, ვენაცვალე! მაგის დამწერი ჩვენ ეზოში დგას, ყოველდღე ვხედავ და ჩუმად ვუალერსებ ხოლმე, — სთქვა ნინო ძაჩაბელმა, როცა გაკვეთილი გათავდა. ამ ამბავმა ყველანი აგვახმაურა:

— ნინო, შენი ჭირიმე, შენ ვენაცვალე, შენთან წამოვალთ, იქნებ ჩვენც ღავინახოთ... შევეხვეწეთ რამდენიმე მოწაფე მაჩაბელს და შინ წასვლის დროს მთელი ჯგუფი გოგონებისა უკან დავედევნეთ.

ავჭალის ქუჩა მხიარული ყიჟინით ჩამოვიარეთ და ხიკოლოზისა და ავჭალის ქუჩის დასაწყისში ორსართულიან ლამ სახლს ძივადექით.

ამ შენობას ეზოში შესავალი გვირაბივით ჰქონდა დატანებული და იქით გავწიეთ. „ივერიის“ რედაქცია იქ იყო მოთავსებული, სანამ ილია ჭავჭავაძე ამას სხვას გადასცემდა, თვითონ ილია ხუმო სართულში ცხოვრობდა.

ეზოში რომ შევედით, ლიზა ჩერქეზიშვილის მეუღლე, ცნობილი ქართველი მოღვაწე ნიკო ხიზანიძვილი, გრიგოლ ყიფშიძე (ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე, „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი) და ილია ჭავჭავაძე პატარა ბაღთან იდგნენ და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ.

— აგერ, აქეთ რომ დგას, ის არის, ის... ვენაცვალე, შეხეთ, რა კეთილი სახე აქვს,— სთქვა ჩუმად ნინო მაჩაბელმა და თვალებში ცეცხლი დაენთო.

ყველანი უცებ შევდექით და მღელვარებამ აგვიტაცა. თან შეგვრცხვა და დარაბებს ამოვეფარენით. ილია პალტოთი და ქუდით იყო, ეტყობოდა, სადღაც აპირებდა წასვლას. ცოტა ხნის შემდეგ ილია მოლაპარაკეთ დამორდა და გვირაბისაკენ წამოვიდა.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და უარესი გულისფანცქალი შეგვექნა. დარაბებს მთლად ავეკარით და ისეთი სიყვარულითა და მოკრძალებით დავუწყეთ ცქერა, რომ ილიამ იმ წამსვე გაიგო ჩვენი აღტაცება და მშვიდ სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა.

— ოჰ, ქალო, ამხანაგები გწვევია?! ჰკითხა ნინო მაჩაბელს ილიამ და გაღიმებული გაემართა გასასვლელისკენ.

ცოტა რომ დაგვშორდა, ჩვენმა გიუმა ბაკურაძემ ვეღარ მოითმინა და უკანიდან მიაძახა:

— შენ კი გენაცვალე, ჩვენო პოეტო...

ამ წამოძახილზე ბავშვებს შერცხვათ, როგორც ჩიტები ისე დაფრთხნენ და ეზოს სიღრმეში გაცვივდნენ.

მე კი დავიძარ და ილიას ფეხაკრეფით უკან აჩრდილივით დავედევნე.

ილია დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით ვორონცოვის (ახლა კ. მარქსის) ხიდისაკენ გაემართა და მეც ნელ-ნელა უკან გავყე. მის ფართო მხარ-ბეჭს, მის ქუდს, პროფილს თვალს არ ვაშორებდი და მიკვირდა, რომ ფეხით მიდიოდა. თან გული სიყვარულით მევსებოდა.

— ნეტავი ამას, რომ ასეთი დიდი კაცია. ალბათ, ქვეყანას უყვარს და ძლიერ ბედ-

ნიერია... ვფიქრობდი დაჟინებით და ჩემი თავი მეცოდებოდა, რომ ისეთი პატარა და უმნიშვნელო ვიყავი.

ამ ხანებში ცაზე ღრუბლები აშლილიყვნენ და სრულიად მოულოდნელად ერთი ისეთი დაიჭექა, რომ შინ დაბრუნება ახლა კი გამახსენდა და სწრაფად უკან მოვტრიალდი.

ვორონცოვის ხიდს რომ გამოვცდი, ისეთი კოკისპირული წვიმა დაუშვა, რომ იძულებული ვიყავ აფთიაქში თავი შემეფარებინა.

თქეშმა ათი-თხუთმეტი წუთი გასტანა და ისევ სწრაფად გადაიდარა. გულში ჩვენების შიში მქონდა და შინისაკენ ხელათ დავიძარ. მაგრამ დახეთ უბედურებას!! ავჭალის ჭუჩაზე ისეთი დიდი წყალი დარუებულიყო, რომ ხალხი ნაპირიდან ნაპირზე ან ეტლით გადიოდა, ან კიდევ ზურგზე მუშებს ეკიდებოდნენ და იყო ქალების წივილ-კივილი და ხარხარი.

რაკი ჯიბეში ერთი შაურიც არ გამაჩნდა, რომ ეტლით გადავსულიყავ, ერთ ადგილზე აბუზულ წიწილასავით ვიდექ და ცრემლები და დარდი მახრჩობდა.

ამ დროს ეტლის თქარათქური შემომესმა. გავიხედე და რას ვხედავ? ეტლში ილია ჭავჭავაძე იჯდა და, წყლის პირად წიგნებით ხელში რომ დამინახა, ეტლი გააჩერებინა და ასე მომიხმო:

— მოდი, გოგონა, მოდი, ისეთი კილოთი მომმართა, რომ უარი ვეღარ გავბედე და ხელათ ეტლში შევხტი.

— გასწი, უთხრა მეეტლეს. წუთით წყალმა თვლებისა და ცხენების ფეხქვეშ უფრო უარესად დაიმხუილა. მალე მეორე მხარეზე გავჩნდით და ეტლი იმავ ორსართულიან დიდ შენობასთან გაჩერდა.

— დიდად გმადლობთ,—შევძახე სიხარულით ანთებულმა, თვალის დახამხამებაზე ეტლიდან გადმოვხტი და გავქუსლე.



ი. გრიმაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველის-ვაჟი

ბიჭო, არა გრცხვენია
დასაქმება დედისა?!
რომ არ გახდე შემდეგში
მომდურავი ბედისა,—

ადექ, შეინავარდე,
სხეულს როგორ ანაზებ?
ეველგან დედა გაგეგება?—
!რად არ ფიქრობ ამაზე?!

ტვინს ტალ-კვესი გაჭკარი,
ნუ ნებივრობ ლოგინში,
უსწავლელი დარჩები
დასმარების ლოდინში!

გაშოტილა ლოგინში,
თითქოს იოს სნეული,
დედას ასე უბრძანებს:
„მომაწოდე რვეული!“

— დედი, ჩაი დამისხი!
— დედი, ღილი ამიწყდა!
— გაკვეთილი ამისსენ,
დედი, გადამავიწყდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატები ი. ოკუჯავისა

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი

ძველი საქართველოს ნანგრევთა შორის

(57-ე თავი წიგნიდან „მთა და გარში“)

ჯავახეთის აღმოსავლეთ მხარის შესწავლამდე პირი მესხეთისაკენ უნდა შემოძებრუნებინა. თუმცა ადვილი არ იყო უკან გაბრუნება, მაგრამ მესხეთის მცენარეულობა ჩვენი მიზნებისათვის იმდენად საინტერესო იყო, რომ ყოველი სიძნელე გაბედულად უნდა გადაგველახა.

ოცდახუთ ივნისს ჩვენი ცხენის ურემი ჯახჯახით გაუდგა გზას. გავიარეთ ჭობარეთი, ტამალა და საღამოზე ასპინძას ვიყავით. 20 კილომეტრი იყო, მაგრამ მთელი დღე მოვუნდით, გზადაგზა კლდე და ღრე მოვიარეთ, მასალა შევკრიბეთ და ასპინძაში სკოლის შენობაში დავბინავდით.

ვუცქერდი ღამის წყვდიადიდან გამომზირალ მთების სილუეტებს და უნებლიეთ იძვროდა ფიქრები წარსულზე. ეს ხომ საქართველო იყო, სადაც ჩვენს წინაპრებს ბევრი სიხარულიც და მწუხარებაც უნახავთ. ჯერ იქნებ არც კი გამშრალა სისხლი ასპინძის მიდამოებში, იქ, სადაც საქართველოს ფხიზელმა გუშაგმა პატარა კახმა სასტიკად დაამარცხა ჩვენი სამშობლოს დაუძინებელი მტერი. დღეს რომ მოვდიოდი ამ მინდვრებზე, მიწას ფეხს ფრთხილად ვადგამდი, თითქოს მომესმოდა აქ დაცემულ ჩვენ სახელოვან წინაპართა ხმა: გიყვარდეთ სამშობლო ისე, როგორც ჩვენ გვიყვარდა, იყავით თავდადებული მისთვის ისე, როგორც ჩვენ ვიყავითო.

— საუზმე მზადაა,—მომმართა ჩვენმა მეურმე-მეგზურმა და დამირღვია აშლილი ფიქრები. შევედი ჩვენს ახალ ოთახში, დავხედე შეკრებილ მასალას. „იქნებ ამათში რომელიმე კარგი კაუჩუკოსანი აღმოჩნდეს“,—გავიფიქრე და ძოძაგონდა წელანდელი ფიქრი. ყველა თავისებურად იბრძვის თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის,—დავატანე ხმამაღლა.

მეორე დღეს გავყევით შარაგზას. ასპინძიდან დიდი მანძილი არ გაგვივლია, რომ თვალი მოგვჭრა ხერთვისის შესანიშნავმა ციხემ, რომელიც მიწიდან ამოზიდულ კლდეზეა ნაგები. იგი ჯერ კიდევ ამაყად იცქირება არტაანისა და ჯავახეთის მტკვრის შესართავში. მიწიდან ამოზიდულ კლდეზე, რომლის მწვერვალი ციხითაა დამშვენებული და იხე უხდება მას, როგორც გვირგვინი, შეფენილია სოფელი ხერთვისი. სოფელი ხერთვისი განთქმულია თავისი ბაღებით, საუკეთესო ხილით. ხილის ბაღები გაშენებულია მთის ფერდობზე, რომელზეც შრომისმოყვარე ხალხის მიერ შესანიშნავი ტერასებია გაკეთებული, რაც უეჭველად მოწმობს მიწათმოქმედი ხალხის ძველ და დიდ კულტურას.

ხერთვისი ძველთაძველი ციხეა. ჩვენი მემატიანენი ხშირად იხსენიებენ ხერთვისის ციხე-ქალაქს, როგორც სამცხე-ჯავახეთის გზის დამცველს. მას ბევრჯერ უნახავს ცხარე ბრძოლები. თემურლენგის ურდოები, შაჰ-თამაზის ყიზილბაშები, ოსმალთა იენიჩარები ერთიმეორეს ცვლიდნენ ციხის ამაყ კედლებთან, რომელსაც ქართველთა შვილები მედგარი მკერდით იცავდნენ.

დიდხანს ვუვლიდით ციხეს გარშემო, მაგრამ დასძლია ჩვენმა პროფესიამ: ციხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

41 30

კლდის ნაპრალებში მოვკრიფე რამდენიმე რძიანი მცენარე. იქნება ახლა ეს ციხე ამით მოემსახუროს თავის სამშობლოს, რომელსაც იგი მრავალ ასეულ წელს ერთგულად იცავდა.

გავყევით გზას. რვა კილომეტრზე ხეობა ფართოვდება და აქ მტკვრის ღრმა კარნიზის ძირში ამართულია კლდე, რომელზეც წუნდის ეკლესიაა აგებული. დღესაც ეს პატარა ტაძარი ერთადერთი ნაშთია წუნდის ქალაქისა, რომელიც ჩვენი ისტორიის წყაროებში უძველეს დროიდან იხსენიება. მისი კარიბჭე და სარკმელი ლამაზი ჩუქურთმითაა შემკული. წუნდის ძირში სოფელია, რომელსაც დღეს ნაქალაქევს უწოდებენ.

ეჰ, რამდენი ნაქალაქევია ჩვენს ლამაზ მხარეში,—ყამთა სიავის მიერ განადგურებული სიცოცხლე...

წუნდის გასწვრივ, ქარაფოვან კლდის პირთან, შესანიშნავი ძველი ტაძარია—კუმურდო. კუმურდოელი ეპისკოპოსი ხშირად იხსენიება ჩვენს ძველ საისტორიო წყაროებში. ტაძარი მეათე საუკუნეში ყოფილა აგებული, 964 წელს, მრავალ ჭირსა და ქარტეხილს გადაუვლია მის თავზე, მისი მკრთალი ქვიშისფერი თლილი ქვით ნაგები კედლები ჩამონგრეულა და დარღვეულა, მაგრამ სიკოპწიავე, ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი, დღევანდლამდე შერჩენია. შეძველებულ ბათქაშზე შიგნით მოჩანს ძველი ფრესკის ნაშთები. ტაძრის მორთულობა იმდენად ლამაზია, რომ განცვიფრებული შესცქერი მას და გიკვირს: ათასი წლის წინათ ყოფილან ხუროთმოძღვარნი, მშენებელნი, რომელთა სახელი უკვდავებისღირსია და ასეც დარჩებოდნენ, რომ ყამთა სიავეს არ დაეკარგა ისინი ჩვენთვის.

მივდივართ ზევით. ჯერ კუმურდოს სურათი თვალს არ მოშორებია, რომ მტკვრის მარცხენა ნაპირზე აღიმართა კლდის ქარაფები, რომელზეც მოჩანს სახელგანთქმული თმოგვის ციხე, ძველი ქალაქის თმოგვის ნანგრევები. რამდენი სახელოვანი ქართველის სახელია ამ ციხესთან დაკავშირებული! მარტო სარგის თმოგველიც კმარა.

ქალაქი მტკიცე გალავნის შიგნით ყოფილა გაშენებული, ციხე კი ისეთი მიუვალი და

მკვიდრი იყო, რომ ჩვენი ქვეყნის მრავალმა მოსისხარმა მტერმა ბევრი ენერგია შეალია მის აღებას, მაგრამ იგი იდგა ურყევად. 914 წელს არაბთა ხალიფას სარდალმა აბულ კასიმმა ალყა შემოარტყა თმოგვის ციხეს, მაგრამ ვერ სძლია იგი და უკუიქცა. რაც მტერმა ვერ დაიკლო, მიწისძვრამ შეუთავა. 1088 წლის აპრილში დაწყებული მიწისძვრა მეორე წლამდე გაგრძელდა და ციხე-ქალაქი დაანგრია, მაგრამ ჩქარა კვლავ აღდგა იგი. მხოლოდ გვიან ჟამთა სიავემ მოუღო ბოლო სახელოვან ციხე-ქალაქს, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე იცავდა თავის სამშობლოს.

თმოგვიდან რამდენიმე კილომეტრით ზევით მდებარეობს ძველი ვარძია, კლდეში გამოკვეთილი ქალაქი. შორიდანვე შევნიშნეთ მაღალ, ციცაბო ტუფოვან კლდეში ნაკვეთი ქალაქი, რომლის გვირაბები მრავალ სართულად არის ნაგები.

აი მტკვრის პირას უზარმაზარი კლდე გდია, იგი ნახევაროთახია. კლდე ჩამონგრეულა და თან ჩამოუტანია კლდეში ნაკვეთი ძველი ოთახი. შესანიშნავი ოსტატობითაა ნათალი ეს კლდე.

ჩვენი ისტორიული წყაროების მიხედვით, ვარძიის გამოკვეთა კლდეში გიორგი მესამეს დაუწყია (გიორგი III გამეფდა 1156 წელს) და თამარს დაუმთავრებია (თამარი გამეფდა 1184 წელს), ე. ი. ამ ქალაქის გამოკვეთა 30-40 წელს გრძელდებოდა. ჩვენში ხომ ყოველი ციხე-ქალაქის აგებას თამარს მიაწერენ და ამის შემდეგ რა საკვირველია, რომ ვარძიაც თამარის სახელთანაა დაკავშირებული. ვარძიის გვირაბების აღმოსავლეთ ნაწილში ფარული გვირაბებია მოთავსებული. ექვსი კილომეტრის სიგრძის გვირაბში ახლაც მოჩანს წყაროს სათავიდან გამოყვანილი მილები. გარდა ამისა, შიგ ციხეშიც არის წყარო, ისე რომ მტრის შემოწყობის დროს ეს ციხე-სიმაგრე წყლით უზრუნველყოფილი იყო.

მემატიანეთა მოწმობით, თამარ მეფე რამდენჯერმე კარგა ხნით დარჩენილა აქ, მაგალითად, 1206 წელს, საიდანაც მან ქართველთა ლაშქარი გაისტუმრა რუქნედინის წინააღმდეგ. დიდხანს იდგა ვარძია უდრეკად თავისი ბრწყინვალებით. 1551-1552 წელს პირველად შაჰ-თამაზმა ააოხრა ქართული ხუროთმოძღვრების ეს იშვიათი ძეგლი. შიგ კლდეში, გარდა საცხოვრებელი გვირაბისა, გამოკვეთილია დიდი ტაძარი, მთლიანად მოხატულ-მორთული ძველი ფრესკებით. აქვეა დახატული თამარ დედოფალი.

შაჰ-თამაზის მიერ აოხრებული ვარძია აღარ აღდგენილა, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში ტაძარში კვლავ დაუწყიათ წირვა-ლოცვა. შემდეგ აქ დასახლებულა ორი ბერი, რომლებიც უვლიან ვარძიას[1].

აი ამ 20 კილომეტრის მანძილზე რამდენი რამ ვნახეთ: ხერთვისის ციხე-ქალაქი, წუნდა ქალაქი, კუმურდოს ნანგრევები, თმოგვის ნანგრევები, ვარძია... რამდენად კულტურული უნდა ყოფილიყო ეს მხარე, რომ ამ მცირე მანძილზე ამდენი ქალაქი, ამდენი შესანიშნავი ძეგლი აეგოთ! აქ ყვაოდა სიცოცხლე, ცხოვრება, კულტურა. ჟამთა სიავემ ბევრი რამ მოსპო, მაგრამ ქართველობამ გამოატარა მრავალი საუკუნის მანძილზე თავისი მრავალ ბრძოლაში ნაცადი დროშა და მეოცე საუკუნემდე მოიტანა. დღევანდელ ცხოვრებაში, სოციალისტურ სამშობლოს მშენებლობაში იგი ერთგული მოღვაწე და მშენებელია.

საღამო ხანი იყო, როდესაც ტაძრის კარიბჭესთან ვისხედით თანამედროვე ხანის სამი მუშაკი და ვაწესრიგებდით დღის განმავლობაში შეკრებილ მასალას. ვარძიის, თმოგვის და სხვათა კლდეებში შეკრებილ მცენარეთა შორის რამდენიმე ათეული აღმოჩნდა ისეთი, რომელიც კაუჩუკისა და გუტაპერჩის ნიშნების მატარებელი იყო. განსაკუთრებული სიფაქიზითა და სიფრთხილით ვინახავდით ასეთებს. ამ სიფაქიზეს გვავალებდა აი ეს მრავალი დიდებული ნანგრევი და მათი წარსული.

დიდხანს ვსაუბრობდით ჩვენს მასპინძლებთან. გაღმა, ჯავახეთის ზეგანზე, აფნიასა და გოგაშენს ცეცხლები აინთო, ღამის განმავლობაში კიაფობდნენ ისინი. ჩვენ კი ვსაუბრობდით, ვიგონებდით სხვა ძეგლებს— საფარას, იშხანს, საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩენილს.

მეორე დღეს ავედით სოფელ ზედა თმოგვში და იქიდან გადმოვჭერით გზა ასპინძისაკენ.

დაღლილ-დაქანცულები, შთაბეჭდილებით სავსენი მივედით ბინაზე. ჩვენს მეგზურს უკვე მზად ჰქონდა მგზავრის ღარიბი, მაგრამ გემრიელი ვახშამი.

[1] დღეს ვარძია ნაკრძალ ძეგლადაა გამოცხადებული და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაარსებულია მუზეუმი—ნაკრძალი ვარძია, რომელიც უვლის როგორც ვარძიას, ისე სხვა ძეგლებს ვარძიის მიდამოებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდია და მდიდარი ჩვენი ქვეყანა

ს. გარგუზოვი

ნახატები ელისეევნინისა

ურალი—
ოქრო მიწა



როდესაც ვილაპარაკებთ ურალზე, მის წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე, ყოველთვის თვალწინ უნდა გვიდგნენ ურალელნი, პირველი „ძემადნეებიდან“ ძოყოლებული, რომელნიც სამასი წლის წინათ გამოჩნდნენ ჯერ კიდევ უცნობ „ციმბირის ქედთან“, და ჩვენი დროის გმირებით—სახელოვან მბურღავ ილარიონ იანკინით, ცნობილ მადნისმთხრელ ივანე ზავერტაიკოთი და საოცარ მღარავ დიმიტრი ბოსოით გათავებული. ურალის დიდება მათი დიდებაა.

ვისაც კი შეხვედრია ჩრდილოეთის ზღვებში ცურვა, მისთვის ნაცნობია სურვილის კონცხის კუშტი მოხაზულობა, კონცხისა, რომელიც კუნძულ ახალ მიწის ყველაზე ჩრდილო კიდურია. თითქოს ყინულოვანი ოკეანის ფსკერიდან ამოზიდულა თოვლითა და ყინულით დაფარული კუშტი კლდეები. ეს კლდეები გასდევენ მთელ ახალ კუნძულს, გაივლიან კარის სრუტესთან, წყლიდან ამოზიდულნი ქმნიან კუნძულ ვაიგაჩს, იხევენ იუგორის სრუტესთან და კვლავ ჩნდებიან მატერიკზე პაი-ხოის ქედის სახით, რომელიც გარს უვლის კარის ზღვის ნაპირს.

აქ, შორეულ ჩრდილოეთში, იწყება ურალის ქედი. აქედან, გადასჭრიან რა უსაზღვრო ტუნდრებს, 2.200 კილომეტრზე უწყვეტ ჯაჭვივით გაჭიმულან სამხრეთისაკენ ურალის მთები და ბუნებრივი საზღვარი შეუქმნიათ ევროპასა და აზიას შუა.

პოლარული ურალის პირქუშ მაღლობებს ცვლიან დამრეცი ქედები, რომლებსაც შეხვდებით სვერდლოვსკის რაიონში, და სამხრეთ ურალის თვალწარმტაცი მწვერვალები; მათ შორის შორიდანვე ხედავს მოგზაური მთას ურალ-ტაუ, ანუ, როგორც ეძახიან ურალელნი, „სამხრეთ-ურალის ევერესტს“, რომელსაც ამაყად აუტყორცნია თავისი მწვერვალი. ლურჯ ჯაჭვად გაჭიმულა სამხრეთისაკენ ტაგანაის ქედი, რაც ბაშკირულად „მთვარის ქვესადგომს“ ნიშნავს. ტყეები თავდება და იქ, სადაც მდინარეები ურალი და სოკმარი მოექანებიან სამხრეთის ჯაჭვების უტყეო ფერდობებზე, ყაზახეთის ტრამალები ფარავს მიწის სიღრმეში წასულ ურალის ქედის შტოებს.

სულ ცოტა ხნის წინათ გეოლოგებს ეგონათ ურალი აქ თავდებაო. მაგრამ როდესაც გამოიკვლიეს შუა აზიის მთების ჯაჭვები, დაინახეს, რომ აქაც ისეთივე მოხაზულობისა და აღნაგობის იყო მთის ქედები, როგორც ურალში. მუგოჯორის მთებშიც ურალი აღდგა მათ წინაშე. გეოლოგებმა ურალის შტოები აღმოაჩინეს არალის ზღვის სიღრმეებშიც. თავის ძველ ნაცნობს, ჭაღარა ურალს, შეხვდნენ ისინი ამუ-დარიას ნაპირებზეც, უზბეკებისა და ყარაკალფაკების ქვეყანაში, სადაც კარა-ტაუს ქედზე თვალწინ გადაეშალათ ურალის საყვარელი პეიზაჟი.

და ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბილული ურალი, რომელიც გეოგრაფიულ რუკებზეა, უზარმაზარი გეოლოგიური სისტემის ნაწილია.

„რა ბინდა, რომ ურალში არ იყოს!“

სამასი წლის წინათ მივიდნენ ურალში გამბედავი მაძიებელნი მთების სიმდიდრეებისა, მადნებსა და „ნაუშიან ქვებს“ ეძებდნენ ისინი. ასეთი გამბედავი მაძიებელნი იყვნენ ძმები მიხაილო და დიმიტრი ტუმაშევები. 1608 წელს მიხაილო ტუმაშევმა ურალში იპოვა ფერადი ქვები და სპილენძის მადანი, ერთი წლის შემდეგ კი მიხმა ძმამ

დიმიტრიმ მდინარე ნეივაზე დაიწყო სპილენძის გამოდნობა.

1703 წელს დაიწყო მშენებლობა ურალის პირველი რკინის ქარხნისა. პეტრე პირველი ყოველგვარად ცდილობდა განევითარებინა ურალში სამთო საქმე. პოლტავის ბრძოლის შემდეგ მან თვითონ დაჰკითხა ტყვე შვედებს, მათში შეარჩია სამთო საქმის მცოდნენი და ურალში გაგზავნა, თანაც უბრძანა ეძებნათ მადანი და ფერადი ქვები და რუსებისათვის შეესწავლებინათ სამთო საქმე. ეს შვედები ნევიანსკის რაიონში დასახლდნენ. მალე პატარა მდინარე ისეტის ნაპირზე, ულრან ტყეში, დაიწყეს ზემო-ისეტის ქარხნის შენება. ქარხნის მახლობლად გაშენდა დიდი ქალაქი—დღევანდელი სვერდლოვსკი. ის გადაიქცა ურალის სამთო მრეწველობის ცენტრად.

1745 წელს ურალში ოქრო აღმოაჩინეს. მისი აღმომჩენი იყო მწვალებელი ეროფეი მაკაროვი, სოფელ შარტაშის მცხოვრები. მთის ბროლის ძებნის დროს მან იპოვა ოქროსწინწკლებიანი კვარცი. ეკატერინბურგელმა ოქრომჭედელმა დიმიტრიევმა მეოთხედი მისხალი ოქრო გამოადნო ამ კვარციდან—ეს იყო ურალში მოპოებული პირველი ოქრო. ოქროს შემდეგ მალე აღმოაჩინეს პლატინა, აგრეთვე ზურმუხტი, ტოპაზიონი და სხვა ძვირფასი თვლები. ურალს „რუსეთის ბრაზილია“ დაარქვეს. ცნობილმა მრეწველმა დემიდოვმა ეკატერინე მეორეს მიართვა მთის სელისაგან—ასბესტისგან გაკეთებული ჩანთა. ეს ჩანთა ცეცხლში ჩააგდეს, მაგრამ კი არ დაიწვა, არამედ უფრო გათეთრდა, რამაც ყველა გააოცა.

გამბედავი და ენერგიული ურალელი ინჟინერი მამიშევი ასი წლის წინათ აღტაცებით ამბობდა:

— კუშტმა ურალმა ქედი მოიდრიკა და ძლიერი რუსეთის მოხარკე გახდა, შემდგომ კი მის არსენალად და საგანძურად იქცა. მან იარაღისა და მრეწველობისათვის მისცა რუსეთს ლითონები—რკინა, სპილენძი და ოქრო, ხოლო ბროლი, ამეთისტო და ტოპაზიონი—სამკაულისთვის.

გენიალურმა რუსმა ქიმიკოსმა მენდელეევმა იწინასწარმეტყველა — რუსეთის სამრეწველო ცხოვრების ცენტრი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, სამარისკენ, სამხრეთ ურალისკენ დაიწყებს წაწევასო.

მაგრამ მეფის მთავრობას არაფრად მოსწონდა ეს წინასწარმეტყველება. ოქტომბრის რევოლუციამდე უცხოეთის კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ ფაბრიკა-ქარხნები და მაღაროები; მათ ინგლისიდან შემოჰქონდათ რუსეთში ქვანახშირი, ალჟირიდან—ფოსფორიტე-



კარის ზღვის ყინულებიდან ყაზახეთის ხორშაკიან ტრამალებამდის.

ბი, გერმანიიდან—კალიუმის სასუქები. ყველა ეს და ბევრი სხვა სასარგებლო მთამადნეული უხვად იყო ურალში, მაგრამ მათ არავინ იყენებდა, ისინი ელოდნენ ნამდვილ პატრონს, რომელიც ხალხის სასარგებლოდ გამოიყენებდა ამ სიმდიდრეს.

ასეთი პატრონიც მოვიდა — მშრომელმა რუსის ხალხმა ხელთ იგდო ძალა-უფლება და უკაპიტალისტებოდ მოაწყო თავისი ცხოვრება. ამ პატრონის ხელში გაახალგაზრდავდა და გაიფურჩქნა ჭაღარა ურალი.

ურალში 800-ზე მეტი მინერალია. ძნელია იმის თქმა, თუ რომლებია მათში მთავარი, რომლებს შეუძლია ყველაზე მეტი სარგებლობის მოტანა ჩვენი ქვეყნის მეურნეობისათვის.

იყო დრო, როდესაც ურალი განთქმული იყო ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი თვლებით. შემდგომ ოქროს მიემატა პლატინა—ეს ძვირფასი ლითონი, რომელსაც ახლა იყენებენ ზუსტ ხელსაწყოებში, ელექტროტექნიკურ და ქიმიურ აპარატებში.

მთელს ურალში ვხვდებით ფერადი ლითონის, უმთავრესად სპილენძის, საბადოებს. სპილენძის გვერდით ბევრგან აღმოაჩინეს მეორე მნიშვნელოვანი ფერადი ლითონი — თუთია. დიდხანს ვერსად მიაგნეს ურალში კალას, ახლა ისიც აღმოჩნდა — შორს, ჩრდილოეთით.

თანამედროვე აეროპლანების გაკეთება წარმოუდგენელია უალუმინოდ, რომელსაც „მფრინავი ლითონი" დაარქვეს სიმსუბუქის გამო. ალუმინის მადნის მრავალმილიონიანი მარაგია მთელს ურალში, შორეული ჩრდილოეთიდან ყაზახეთის ტრამალებამდის.

ურალში იპოვეს თითქმის ყველა იშვიათი ლითონი—კობალტი, ბისმუტი, კადმიუმი, ინდი და მათი თანამგზავრი სელენი და ტელური. ალბათ გაგიგონიათ ფოტო-ელემენტის შესახებ, რომელსაც, სინათლეზე რეაგირების შედეგად, შეუძლია გააჩეროს ან აამოძრაოს რთული მექანიზმები. ეს ყოვლისმხედველი ფოტო-თვალი, ფოტო-ელემენტის მთავარი ნაწილი, არის ელემენტი სელენი. ზემოაღნიშნულ სხვა იშვიათ ლითონებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის.

აურაცხელ დოვლათს აძლევს ჩვენს ქვეყანას ურალის „ნაყოფიერების ქვა", რომელსაც სოლიკამსკის კალიუმის მაღაროები იძლევა. სოლიკამსკის საბადოს ვერც ერთი საბადო ვერ შეედრება მსოფლიოში. ქვამარილს, ქლოროვან კალიუმს, მაგნიუმისა და ბრომის მარილებს იყენებენ საკოლმეურნეო მინდვრებშიც და ქიმიურ ქარხნებშიც.

თუმცა ძლიერ ბევრი რამით არის ურალი მდიდარი, მისი მთავარი სიმდიდრეა მაინც რკინის მადანი და ის დამატებითი [illegible] ბია, რომლებიდანაც მზადდება სხვადასხვა მარკისა და თვისების სპეციალური ფოლადი.

ურალის რკინის მადნების მნიშვნელობა დიდია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მილიონი ტონობითაა, არამედ იმიტომაც, რომ ურალი იძლევა სხვადასხვა ტიპის რკინის მადანს. ზოგან რკინის საბადოები შეიცავს ქრომსა და ნიკელს, რომლებიც აუცილებელია სპეციალური თვისების ფოლადის მისაღებად, ზოგან კი თვით ამ უმნიშვნელოვანესი ლითონების საბადოებია.

სულ ცოტა ხნის წინათ ურალის მეტალურგიულ ქარხნებს კავკასიიდან და უკრაი-



ურალის მინერალები.

ნიდან აწვდიდნენ შავ ქვას, ახლა კი თვით ურალში აღმოაჩინეს შავი ქვის საბადოები.

დიდი შრომა, დიდი ენერგიაა საჭირო, რომ ადამიანის საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ ეს უამრავი სიმდიდრე—მრავალი ათასი მოტორის, ორთქლის ძრავების, დაზგებისა და მექანიზმების ამუშავებაა საჭირო. ურალის ქვანახშირი და ნავთი გააკეთებს ამ საქმეს. მათ დაეხმარება ურალის მდინარეების „თეთრი ნახშირი"—წყლის ვარდნის ძალა. ამრიგად, ურალის მრეწველობა უზრუნველყოფილია საკუთარი ენერგეტიკით.

თუ თქვენ უკვე სწავლობთ ქიმიას, მენდელეევის ცხრილაც გეცოდინებათ. ამ ცხრილაზე აღნიშნულია ქიმიური ელემენტები, რომლებიც კი მოიპოვება დედამიწაზე, და ამ ცხრილიდან მხოლოდ ოთხი ელემენტი არ არის ნახული ურალში. ამ ოთხიდან ორი ელემენტი მხოლოდ ნაწინასწარმეტყველია მენდელეევის მიერ, მაგრამ საერთოდ არსად არ არის ნახული დედამიწაზე. და

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არის დედამიწაზე ისეთი ქიმიური ელემენტები, რომლებიც არ მოიპოვებოდეს ურალში. ეს კიდევ ცოტაა—ეს ელემენტები იქ ისეთი რაოდენობითაა, რომ ხელსაყრელია მათი მოპოვება. ისეთი ადგილი, როგორიც ჩვენი ურალია, არსად არ არის დედამიწაზე. ამის შესახებ შესანიშნავად თქვა ამხანაგმა სტალინმა: „ავიღოთ თუნდაც ურალი, რომელიც წარმოადგენს სიმდიდრეთა ისეთს კომბინაციას, როგორსაც ვერ იპოვით ვერც ერთ ქვეყანაში: მადანი, ნახშირი, ნავთი, პური—რა გინდა, რომ ურალში არ იყოს?!“

ურალის ქედის ისტორია

როგორ გაჩნდა სიმდიდრეთა ეს არნახული შეხამება?—ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ უნდა გადავხედოთ დედამიწის შორეულ წარსულს, იმას, თუ რა იყო მრავალი ასი მილიონი წლის წინათ. ამაში დაგვეხმარება ამას წინათ გარდაცვლილი აკადემიკოსი ა. ე. ფერსმანი, ურალის ერთ-ერთი შესანიშნავი მცოდნე. აი რას ამბობს ის იმ შორეულ წარსულზე, როდესაც დედამიწა ნელ-ნელა ცივდებოდა და ამ გამდნარ ოკეანეში დაცურავდა უზარმაზარი მასივები—ფარები, მომავალი მატერიკების ნაწილები.

ერთ-ერთ ასეთ უზარმაზარ ფარს რუსეთის ფარი დაარქვეს გეოლოგებმა, მეორეს კი—ციმბირისა. იმ ადგილას, სადაც ერთმანეთს დაეჯახა ეს ორი ფარი, ურალის ქედი გაჩნდა.

გაიხსენეთ ყინულთსვლა. ყინულის ხორგები ეჯახება ერთმანეთს, ერთი ხორგი მეორეს ქვეშ მოიქცევს, მათ ჩამოემტვრევა კიდეები, ირგვლივ ხორგების ნამტვრევებია და ამ ნამტვრევებიდან ნაკადულებად მოდის წყალი. გეოლოგიური პერიოდების მანძილზე, მრავალი ათი და ასი მილიონი წლების განმავლობაში, ასე ხდებოდა ურალის ქედზეც. ის გაჭედილი იყო ორ ფარს შორის, რომელნიც ერთმანეთს ეჯახებოდნენ დედამიწის ქერქის რყევის გამო, აღმოსავლეთით კი ხშირად მოგორავდნენ ქვის ტალღები, სიღრმეებიდან ზევით ამოდიოდნენ გამდნარი მასები, ცივდებოდნენ და დაკრისტალდებოდნენ. ასე დაგროვდა ის რთული და მრავალფეროვანი ქიმიური ნაერთები, რომლებმაც წარმოქმნეს ურალის სიმდიდრენი.

ყველაზე ადრე მიწის სიღრმეში წარმოიქმნა ე. წ. დრუნგალები, ისინი შეიცავენ მაგნიუმს, რკინას, ქრომს, ნიკელს, ზოგჯერ ტიტანსა და ვანადისაც, ყოველივე ეს კი სწორედ ის ლითონებია, ურომლისოდაც ვერც ერთ თანადროულ მანქანას ვერ გაკეთებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამდნარი მასები ნელ-ნელა ცივდებოდა, დიდ სიღრმეზე. მათგან გამოიყოფოდა ფეროვანი ხსნარები. ასე წარმოიქმნა ფერადი ლითონების გოგირდოვანი ნაერთები—ტყვიის, თუთიის, სპილენძისა. მათთან ერთად მიწის წიაღიდან ზევით ამოდიოდნენ უფრო იშვიათი ლითონებიც—ბისმუტი, კობალტი, კადმიუმი. ასე შეემატა ურალის ისტორიას ახალი გვერდი—გაჩნდა ფერადი ლითონების წყარო.

იშვიათი ლითონები, რომლებიც ურალში მოიპოვება, დაკავშირებულია ურალის განთქმულ გრანიტებთან. ეს გრანიტები წარმოიქმნა გაციებული მაგმიდან—გამდნარი ნივთიერებიდან, რომელიც მიწის წიაღიდან ამოდიოდა, გარემომცველ ქანებში შედიოდა, ნაკადულებად იღვრებოდა, თითქოს ქმნიდა ერთი გრანიტის ხის დიდსა და პატარა ტოტებს. ამ გრანიტის მასებში, რთული ქიმიური და ფიზიკური პროცესების მეოხებით, გროვდებოდა ფტორის, ბორის, ბარილიუმისა და ლითიუმის ელემენტები. ქვარცის ძარღვებში ილექებოდა მოლიბდენისა და ვოლფრამის მადნები, რომლებიც გვაძლევს ახლა შესანიშნავ თვითმბრძმედ ფოლადს.

თანდათანობით დედამიწის ისტორიის იმ ხანისათვის, რომელსაც გეოლოგები პერმის ხანას უწოდებენ, ურალის ქედის მძაფრი აწევა განელდა. მიწისქვეშა ოკეანე დაწყნარდა. ურალის მთებთან დასავლეთით მოგორდა დიდი პერმის ზღვის ტალღები. ეს ზღვა გადაჭიმული იყო რამდენიმე ათას კილომეტრზე, მოიცავდა თანადროულ კასპიის ზღვას და მისი ენები დასავლეთით თითქმის ხარკოვამდის აღწევდა.

მძლავრ მდინარეებს ურალის მთებიდან ზღვაში ჩაჰქონდათ სხვადასხვა ლითონი. ზოგი ლითონი ზღვაში ილექებოდა, ზოგი ინებოდა და გროვდებოდა მომაკვდავ ზღვაში. ასე წარმოიქმნა შესანიშნავი სოლიკამსკის კალიუმის საბადოები, უზარმაზარი მიწისქვეშა დარბაზები, მოსკოვის მეტროს მიწისქვეშა დარბაზებზე ორმოცჯერ უფრო დიდები.

დედამიწა თანდათან ცივდებოდა. მის ზედაპირზე ორგანული ცხოვრება წარმოიშვა. გაჩნდა უღრანი ტყეები, რომლებიც მომდევნო გეოლოგიურ პერიოდებში ჩაიმარხა და ურალის ქვანახშირად იქცა, ხოლო მიწისქვეშ ჩამალული წყალნაკლი ზღვების ადგილას, ჯერ კიდევ გამოუცნობ პირობებში, წარმოიშვა ურალის ნავთი—„მეორე ბაქო“.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

შ. მარიანიშვილი

ნახატები პ. გიგოლაშვილისა

ბრძოლა სასუნთქავისა

(წიგნიდან „აფრიკის ტყეებში“)

ორმოცდარვა დღეა, რაც ბუნების ტყეობაში ვიმყოფები და მარტოდმარტო დავეხეტები აფრიკის ულრან ტყეებში, დავეძებ დაკარგულ მეგობრებს. ყოველ ფეხის გადადგმაზე საფრთხეს მოველი, საეჭვო ხმაურზე სმენას ვიმახვილებ და უხილავ მტერთან საბრძოლველად ვემზადები. თოფი მუდამ მომარჯვებული მაქვს და ხანჯალი ნახევრად ამოწეული. სახუმარო საქმეა?! ყინტად ხარ ნადირთა შორის, საიდუმლოებით მოცულ გარემოში, სადაც ყოველ ხესთან, ყოველ ბუჩქთან საშიშროება მოგელის. ამ ხანაგიც არა გყავს, რომ დაგეხმაროს, იმედი მოგცეს. მოდი და ნუ შეგეშინდება. პირველ დღეს მეშინოდა, ფოთლის შრიალიც კი მაფრთხობდა, მერე კი მდგომარეობას შეეგურიგდი, შევეჩვიე. მეტი რა გზა მქონდა. ამ ხნის განმავლობაში ადამიანი თვალით არ მინახავს, არავის დავლაპარაკებივარ. მეშინია მეტყველების უნარი არ დავკარგო. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს დავრჩები ამ უკაცურ ადგილას, ვინ იცის!

მხოლოდ სამი უენო, მაგრამ ძლიერი „ამხანაგი“ მახლავს, — ესენი არიან ჩემი თოფი, რევოლვერი და ხანჯალი. მათ მივანდე ჩემი ბედი და, ვფიქრობ, არ მიღალატებენ. ლამეს ხეზე ვატარებ და კურდღელივით ფრთხილად მძინავს. ჯიქის თავდასხმას ველოდები. ის ხომ ხეზე კატასავით ადის და მიპარვით უყვარს მიხდომა. სწრაფია როგორც ელვა და უეცარი თავდასხმით ადვილად იმორჩილებს მსხვერპლს. შეიარაღებული საშინელი კბილებით და ბრჭყალებით, რამდენიმე წუთში ადამიანს ნაფლეთებად აქცევს. მან არ იცის, რა არის შიში, უკან დახევა. მძიმედ დაჭრილიც რომ იყოს, არ გაექცევა მტერს; ან დაგლეჯს მას, ან ზედ შეაკვდება. მე ეს ყველაფერი კარგად ვიცი და მზად ვარ ყოველ შემთხვევისათვის. ამოღებული ხანჯალი თავქვეშ მიდევს, თოფი — გვერდზე.

ხშირად მესმის ჯიქის მრისხანე რუხრუხი. ალბათ დამეძებს და ჩემთან პირებს ძალის გამოცდას. ვიცი: სისხლისმსმელია და დაუნდობელი. არც მე დავინდობ. თუ თვალი შევასწარ, მეტი არ მინდა. იმედი მაქვს, მიზანს არ ავაცდენ. კიდევაც რომ ავაცდინო, ხანჯალი ხომ თან მაქვს. რკინას ჰკვეთს მისი ფხა. მაგრამ მოვასწრებ კი დარტყმას?

ჯერჯერობით მტაცებელ მხეცს პირისპირ არ შევხვედრივარ, შორიდან კი მომიკრავს თვალი, მასაც შევუმჩნევივარ, მაგრამ ბრძოლას მორიდებია. არც მე გადავსულვარ შეტევაზე. ვგრძნობ, რომ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდება. ჩვენ შორის მანძილი თანდათან მცირდება და როცა იქნება შევეჯახებით...

ვიკვებები უმთავრესად ხილით, იშვიათად ცხოველის ხორცით. პურის მაგივრობას ბანანი მიწევს, თუმცა ამასაც ხშირად მოკლებული ვარ. ნახევრად მშიერი, შემოგლეჯილი ტანსაცმლით, ველურივით დავდივარ. დავდივარ და დავეძებ, მაგრამ ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავის ვპოულობ. სადა ხართ, ჩემო მეგობრებო, სად?

ეს მეორე დღეა თავის ტკივილი მოსვენებას არ მაძლევს, მუხლებიც მისუსტდება. მაჯისცემა ჩვეულებრივზე ჩქარი მაქვს. მგონი დამსიცხა. ავად რომ გავხდე, დავიღუპები. სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი, არ ვიცი რა ვქნა!

აფრიკის ულრან ტყეებში მხოლოდ ძლიერს შეუძლია არსებობა, სუსტი კი არსებობისათვის ბრძოლაში იღუპება, დღეს თუ არა, ხვალ მაინც. „მოჰკალ და იარსებე“.—აი, ულმობელი კანონი უდაბური ბუნებისა. მოკვლა კი აქ მხოლოდ ძლიერს შეუძლია და, მაშასადამე, არსებობაც.

ორი მტერი მყავს: შიმშილი და ნადირი. ვიდრე მკლავში ძალა მაქვს და იარაღი ხელთ მიპყრია, ჩემი დამარცხება ძნელია. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. მაგრამ თუ ავადმყოფობამ დამჯაბნა და ძალა წამართვა, მაშინ ან ერთი მიმსხვერპლებს, ან მეორე. დანდობა არ მექნება.

ზოგჯერ შიმშილი მაიძულებს ჩემი ციცოცხლე საფრთხეში ჩავაგდო. გუშინ დილით ერთი ქოქოსის კაკლისათვის შიმპანზეს შევებრძოლე. საკვების ძებნაში გართული შემთხვევით წავაწყდი მას. შიმპანზეს ადრევე შევემჩნიე და ბუჩქებში ჩამალული თვალყურს მადევნებდა. ცნობისმოყვარეობამ გასცა. ახლოს რომ ჩავუარე, ბუჩქებიდან თავი გამოყო, რომ კარგად შეეხედა უცნაური არსებისათვის. საეჭვო ძოძრაობა არ გამომეპარა. ვერ ვიგრძენი, რომ დამანჭული სახის დანახვა საკვებად ეყოფილიყოს ჩემთვის. ზურგზე სიცივემ გადამიარა, თუმცა ძლიერ ცხელოდა. უმალვე გული გავიმაგრე, რადგან შიში სიკვდილისაგან ვერ მიხსნიდა. გაქცევას თავდასხმა ჯამჯობინე. ხანჯალზე ხელი გავივლე და ბუჩქებზე იერიში მივიტანე. თოფი დამავიწყდა ჩასაფრებულის საბედნიეროდ, ჯერ არ ვიცოდი, ვისთან მქონდა საქმე. ბანჯგვლიანმა მკლავებმა ბუჩქები გადასწია და ღია მინდორზე შიმპანზე გადმოხტა. ქურდულად თვალი შემავლო და გაქცევა სცადა, მაგრამ დავასწარ და გზა გადავუღობე. იძულებული გახდა შემბრძოლებოდა. ქოჩორი ყალყზე დაუდგა. მწვანე თვალები ცეცხლივით აენთო. ჯერ ძაღლივით აყეფდა, მერე კი განიერ მკერდზე მკლავები აჩქარებით დაიშინა. ამით მანიშნა თავისი მზადყოფნა. რომ ქოქოსის კაკალი არ შემემჩნია მის ხელში, შეიძლება ჩვენი შეხვედრა მშვიდობით დამთავრებულიყო და შიმპანზე უვნებლად გამეშვა, მაგრამ ორი დღე არაფერი მეჭამა. გადავწყვიტე კაკლის დასაკუთრება. ჯერ არ მინდოდა სისხლის ტყუილუბრალოდ დაღვრა. ეცდილობდი კაკალი გამომეგლიჯა პატრონის ხელიდან, მაგრამ უგნურმა არ მოისურვა მისი დათმობა. გრძელ მკლავებს სწრაფად ამოძრავებდა და ახლოს არ მიშვებდა. ერთი-ორჯერ კიდეც გამარტყა სახეში და თანაც ფიჯაკის კალთა ჩამომახია. ამან გამაბრაზა და მკლავში ხანჯალი ჩავჯარ. შიმპანზემ სიმწარისაგან ყრუდ დაიგმინა და უკან მიაწყდა. კაკალი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ ჯერ მისთვის არ მეცალა. მე მოველოდი: ჭრილობა შიმპანზეს გააფთრებდა და თავდავიწყებით მეკვეთებოდა, მაგრამ ეს არ მოხდა. მრისხანებმა სახიდან გაულრა. შეშინებული თვალები ხანჯალს დააშტერა, რომლის წვერიდან სისხლი სწვეთდა. მერე ჭრილობაზე გადაიტანა და... ცრემლები გადმოყარა. შიმპანზე ტიროდა. ტიროდა და თან ხელის დაფარებით ცდილობდა სისხლის დენის შეწყვეტას. ამ სურათმა შემაძრწუნა, გავიცხე ჩემი საქციელი და აჩქარებული ნაბიჯით გავშორდი მას. კაკალი—საგანი ჩვენი ჩხუბისა, ადგილზე დარჩა...

ამრიგად, მეც ვიბრძვი არსებობისათვის. ვიბრძვი. ვიდრე მკლავებში ძალა მაქვს და იარაღი ხელთ მიპყრია...

ერთადერთი ნუგეშის მომცემი არიან ჟაკო თუთიყუში და პატარა მაიმუნები, დედა-შვილი, დიანა და კოკი, რომლებიც ჩემს ხეზე ბუდობენ. თუ რაიმე საფრთხე შეამჩ-

ნიეს, ხმაურით მაფრთხილებენ. მათი დიდი იმედი მაქვს. ამ ორმოცდაორვა დღის განმავლობაში საკმაოდ შემეჩვივნენ. აღარ მიფრთხიან და არც ჯოხებს ძრიშენენ. შინაური კაცი გავხდი. განსაკუთრებით შემეჩვია შვილი. არ ვიცი, მე შემეჩვია თუ ჩემს შოკოლადებს და ტკბილ ნამცხვრებს, რომლებიც ასე უსირცხვილოდ დამცანცლა. მართალია, დედა მაიმუნი ჯერ კიდევ უნდობლად მიყურებს, შვილს ტუქსავს, უშლის, მაგრამ კოკი მაინც ჩამოიპარება ჩემთან, კუდით დაეკიდება ტოტზე, გამომიწვდის ხელს და თან მე შემყურებს და თან ჩანთას. ცხადია, შოკოლადს მთხოვს. მაგრამ ჩანთა დიდი ხანია დაცარიელდა, შიგ ნამცეციც არ არის. რაც მქონდა—დავუთმე. მაინც კიდევ იმედი აქვს, რომ მივცემ რამეს. განგებ თვალებს ვიბრმავებ, თითქოს ვერ ვამჩნევ მის წამოწვდილ ხელს. ის ხმაურით ცდილობს ჩემი ყურადღების მიპყრობას, მაგრამ არაფერი გამოუდის. შემდეგ ხელით ოდნავ შემეხება, მომაგონებს, აქა ვარო. ბოლოს იმედგაცრუებული ბრუნდება დედასთან. რაკი არაფერს მივცემ, გამაჯავრებს: თავზე ხელს ჩამომაკრავს, მერე ტოტზე შეხტება და კბილებს მიჩვენებს. ეს პატარა ორინბაზი საშინელი ქურდბაცაცაა. ჯიბეები დამიცარიელა: ფანქარი, ბლოკნოტი, ცხვირსახოცი, სარკე ამომაცალა და ფულიც თან გააყოლა. გუშინლამ, როცა მეძინა, ორჯერ სცადა ჩანთის მოპარვა, მაგრამ გავუგე და თუ პირველად ვაპატიე, მეორეჯერ ლაზათიანად მივტყეპე.

არ ვიცი, როგორ წავიდოდა ჩემი საქმე, რომ კოკის დედა—დიანა ერთგულ დარაჯად არ მყავდეს. საოცარი სმენის და ყნოსვის მეოხებით შორიდანვე გრძნობს მტრის მოახლოებას და მაფრთხილებს. მიმიკით—სახის კუნთების მოძრაობით მაგებინებს: თავს უშველე, მტერი მოდისო. თუ მძინავს და საშიშროება მომელის, სწრაფად ჩემთან გაჩნდება და ხელის წაკვრით გამომაღვიძებს. ამ პატარა მეგობრის სიფხიზლის წყალობით ბევრჯერ დამიხსნია თავი განსაცდელისაგან...

როცა სევდა შემიპყრობს, ჟაკოს მივმართავ:

— ჟაკო, ჩემო კარგო ჟაკო, არ გებრალები? — ჟაკო უმალვე შემესიტყვება:

— გაიღვიძე, აჩილ, გაიღვიძე! გათენდა! დილა მშვიდობისა, ძია აჩილ! ჟაკოს შია, ო, როგორ შია! დიანა! კოკი, მოდი აქ!...

ჟაკო ერთადერთი არსებაა, რომელსაც ვესაუბრები და თავს ვირთობ. ისე შემეჩვია და გამითამამდა, რომ პირიდან ლუკმას ძართმევს, ლოყაზე ნისკარტს და თავს ეკრავს, ამით თავის ნაზ გრძნობას გამოცხადებს. გულკეთილი და მიმნდობი ფრინველია, როგორც საერთოდ ყველა თუთიყუში.

პატარა კოკი, როგორც კი საუბარს ყურს მოჰკრავს, ტოტზე ანცობას თავს ანებებს, ჩამოცოცდება ჩვენთან, გულმოდგინედ იქექება და თან ყურს გვიგდებს. ვითომ რასაც ლაპარაკობთ, ყველაფერი მესმისო.

ჟაკო, როგორც კი თავის სიტყვათა ლექსიკონს ამოწურავს, თავიდან იწყებს ტიკტიკს: „გაიღვიძე, აჩილ, გაიღვიძე“ და სხვა. სიტყვა „გაიღვიძეს“ გამოთქმა უჭირს. ბგერები „ღ“ და „ძ“ ჯერჯერობით ვერ დასძლია და მისი „გაიღვიძე“ ისმის, როგორც „გაიხვიზე“. სახელიც თავისებურად გადამიკეთა და არჩილის მაგივრად მოკლედ მოჭრა: „აჩილ“.

ყოველ დილას, მზის ამოსვლის ჟამს, გაისმის ჟაკოს მყვირალა, მაგრამ ჩვეიმთვის სასიამოვნო ხმა: „გაიღვიძე, აჩილ, გაიღვიძე!“

რგოლის ხელმძღვანელის დღიურიდან

ამ შემოდგომისათვის პიონერულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. დიდი სამამულო ომის წლებში თითოეული რაზმეულისა და რაზმის სათავეში შტაბი იდგა. შტაბის წევრები, აგრეთვე რგოლის ხელმძღვანელები, კი არ ირჩეოდნენ, არამედ ინიშნებოდნენ.

ახლა ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გაუქმებულია პიონერულ რაზმეულებსა და რაზმებში რაზმეულისა და რაზმის შტაბის წევრების, აგრეთვე რგოლის ხელმძღვანელების დანიშვნა, გაუქმებულია ბრძანებების სისტემა. ამის ნაცვლად შემოღებულია არჩევნები. ახლა პიონერული რაზმეულისა და რაზმის სათავეში იქნება შტაბი კი არა, არამედ საბჭო, რგოლის სათავეში კი რგოლის ხელმძღვანელი, რომელთაც თვით პიონერები აირჩევენ თავის შეკრებაზე.

ეს არჩევნები ჩატარდება წელიწადში ერთხელ. 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე მოხდება რგოლის ხელმძღვანელთა და რაზმის საბჭოს არჩევნები, ხოლო 15 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე—პიონერრაზმეულთა საბჭოების არჩევნები.

რგოლის ხელმძღვანელი აირჩევა რგოლის შეკრებაზე. რაზმის საბჭო—ხუთი-შვიდი წევრის შემადგენლობით, რომელთა რიცხვში შედის რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, კედლის გაზეთის რედაქტორი და მედროშე—აირჩევა რაზმის შეკრებაზე. რაზმეულის საბჭო აირჩევა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც დამთავრდება ყველა რგოლში რგოლის ხელმძღვანელებისა და ყველა რაზმში რაზმის საბჭოს არჩევნები.

როგორც ხედავთ, ყველაზე ადრე ხდება რგოლის ხელმძღვანელის არჩევა. მაშასადამე, ყველაზე ადრე რგოლის ხელმძღვანელებმა უნდა დაიწყონ მუშაობა. როგორც კი დამთავრდება არჩევნები, რგოლის ხელმძღვანელებმა მაშინვე შეკრიბეთ თქვენი რგოლის წევრები და მოითათბირეთ შემდგომ მუშაობაზე.

როდესაც კარგად გაეცნობით თითოეული წევრის საქმიანობა-მისწრაფებასა და უნარს, ამის შემდეგ უნდა შეუდგეთ რგოლის სამუშაო გეგმის შედგენას. რგოლის ხელმძღვანელებმა აუცილებლად კარგად უნდა გაითვალისწინონ თავისი რგოლის თითოეული პიონერის სურვილი და უნარი რგოლის სამუშაო გეგმის შედგენისას. ბუნებრივია, თუ რგოლის გეგმა შედგენილი იქნება რგოლის თითოეული წევრის მისწრაფებისა და უნარიანობის საფუძველზე, რგოლის მუშაობა ხალისიანი და ნაყოფიერი იქნება.

რგოლის შეკრებებზე შეგიძლიათ ააგოთ მოდელები, შეისწავლოთ სიმღერები, ერთად წაიკითხოთ საინტერესო წიგნი, შეისწავლოთ მორზესა და სემაფორული ანბანი, მოაწყოთ თოჯინებისა და ჩრდილების თეატრი, ფიზკულტურული და, საერთოდ, სხვადასხვა თამაშობანი. ერთი სიტყვით, რგოლს შეუძლია მოაწყოს და ჩაატაროს ძრავალნაირი საინტერესო და სასარგებლო მუშაობა.

გახსოვდეთ: რგოლის ხელმძღვანელი უნდა იყოს ენერგიული, საქმიანი და მზრუნველი თავის მუშაობაში. რგოლის ხელმძღვანელი არ უნდა შეუშინდეს არავითარ დაბრკოლებას—მათ გადალახვაში, გაურკვეველი საკითხის გადაწყვეტაში და საერთოდ ყოველგვარი საქმიანობის განხორციელებაში რგოლის ხელმძღვანელს ყოველთვის დიდი სიამოვნებით დაეხმარებიან (ვალდებულიც არიან) რაზმის ხელმძღვანელი, უფროსი პიონერხელმძღვანელი და მასწავლებელი.

გისურვებთ წარმატებით მუშაობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორ შევაკეთოთ ფეხსაცმელი?

სულ ადვილი საქმეა ფეხსაცმლის ზედაპირზე საკერებლის დადება, საჭიროა მხოლოდ შეისწავლოთ ხარაზული წესით კერვა.

თქვენ იცით, რომ ხარაზები უნემსოდ კერავენ სპეციალურად მომზადებული გაფისული ძაფით?

აიღეთ მსხვილი ძაფი, დაჭერით 2,5—3 მეტრის სიგრძეზე და თითოეული მათგანი კარგად გასანთლეთ ხარაზული ფისით, შემდეგ 6-8 გაფისული ძაფი ერთად დაგრიხეთ და კვლავ გასანთლეთ. დასასრულს, გაუსვით ის სქელი ტილოს ან მაუდის ნაჭერზე, რომ სიმივით სწორი და სუფთა გახდეს. ამგვარად გამზადებულ ძაფს გაუკეთეთ ღორის სქელი ჯაგარი და სანთელი წაუსვით.

საკერებელი ასე მოამზადეთ: აიღეთ ტყავი და გამოსჭერით იმოდენა ნაჭერი, რომ მან თქვენი ფეხსაცმლის გაცვეთილი ადგილი სრულიად დაფაროს, შემდეგ ამ ტყავის ნაჭერს ნაპირებზე წაუსვით შრეში და მიაკარით ფეხსაცმლის ზედაპირის გაცვეთილ ადგილას. როგორც კი შეშრება შრეში, მაშინვე შეგიძლიათ დაიწყოთ დაკერება. საკერებელ ტყავს ფეხსაცმლის ტყავთან ერთად სადგისით გაუკეთეთ ორი ორჯოლი ნასვრეტი, უკვე გამზადებული ძაფი გაუყარეთ ნასვრეტში და ძაფის ორივე წვერი გაათანაბრეთ. შემდეგ კიდევ გააკეთეთ სადგისით ახალი ნასვრეტი და ახლა ძაფის მხოლოდ ერთი წვერი გაუყარეთ ახალ ნასვრეტში და მოსჭიმეთ, მერე მეორე წვერი იმავე წესით, ასე თანდათან შემოუარეთ ირგვლივ საკერებელს, და თქვენი ფეხსაცმელი დაკერებულია.

ახლა გაუსინჯეთ ქუსლი, მოცვეთილია? მოაშორეთ მოცვეთილი ტყავის ზედაფენა; დანით შემოსჭერით სქელი ტყავიდან ზუსტად ქუსლის ზომის საკერებელი. ჩამოაცვით ფეხსაცმელი ნაკოდალზე, გამზადებული საკერებელი ტყავის ნაჭერი დაადეთ ქუსლს და რკინის ლურსმნებით დააჭედეთ.

შედარებით რთულია ფეხსაცმლის ლანჩაზე ნაჭრის დადება. ამისათვის აუცილებელია ხის კალაპოტი ან რკინის „ფეხი“, რომელზეც ჩამოიცმება ფეხსაცმელი. სქელი საძირე ტყავიდან საკერებელი გამოიჭრება და მისი ის ნაპირი, რომელიც ფეხსაცმლის ძირის შიგნითა მხარეს უნდა მოხვდეს დანით გათხელდება. ამის შემდეგ საკერებელს სადგისით გაუკეთდება ნასვრეტი და ხის ლურსმნებით, ხელის ჩაქუჩის მეოხებით, დაიჭედება საკერებელი.

როდესაც ფეხსაცმელს კალაპოტიდან ამოიღებთ, მაშინვე ხელით შეამოწმეთ, ხომ არ გამოიჩარა ფეხსაცმლის შიგნით ლურსმანი, თუ ასეთი ნახოთ, ჯერ დანით, ხოლო შემდეგ ქლიბით სუფთად ჩაფხიკეთ ის, ვიდრე ხელს აღარ მოედება ხის ლურსმნის ხორკლები.

მექსიკის სფინქსი

მექსიკის ჯუნგლებში ნაპოვნია უხსოვარი დროის კულტურის ნაშთები, მათ შორის აღსანიშნავია გრანიტის ქვისაგან ნათალი ადამიანის თავი (იხ. სურათი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ტექნიკის კუთხე

მოტორის ბლოკი მანქანის ის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ადგილია, სადაც გაზის წვით მიღებული სითბო ავტომობილის მამოძრავებელ ძალად იქცევა.

ცილინდრების გვერდები, წყალპერანგები, სარქველის ბუდეები, კარტერი, საბოლქვი გაზების კოლექტორი—ყოველივე ამას ეწოდება ბლოკი.

ბლოკს თუჯის ერთი ნატეხიდან ჩამოასხმენ, მაგრამ ჩამოსხმის უმალვე იგი ჯერ კიდევ როდია ბლოკი. სანამ მანქანას გაუკეთდებოდეს,ბლოკად ჩამოსხმული თუჯი უნდა დამუშავდეს, მრავალ ადგილას ამოიხვრიტოს და ამოიხერხოს, გაირანდოს ზედაპირი, გაიღაროს ღარაკები და ჭვირტები, გაუკეთდეს კუთხვილები ჭანჭიკებისათვის.

ამ ცოტა ხნის წინათ ბლოკის გამზადების პროცესი რთული იყო. მას ნახვრეტებს ეოთი მუშა უკეთებდა, ღარაკებსა და ჭვრიტებს —მეორე, კუთხვილებს—მესამე და, ამრიგად, იგი ერთი დაზგიდან მეორეზე გადადიოდა.

ჩვენს დიდ მეურნეობას ერთობ ბევრი მოტორი ესაჭიროება. ახლა წინანდებურად ნელა მუშაობა აღარ გვარგია. სწორედ ამიტომ ამჟამად ქარხანა „ზის"-ში ყოველივე ამას აკეთებს თექვსმეტი სააგრეგატო დაზგა-ავტომატი, რომლებიც თითქმის უადამიანებოდ მუშაობენ. გამონასხამს, მოემწყვდევა თუ არა იგი დაზგა-ავტომატის ფოლადის თათებში, ერთბაშად სამი მხრიდან ერჭობა ბურღი, მღარავი და ქანჩმჭრელები; აქ უკვე არაფრის მოზომვა და მორგება არაა საჭირო, ყოველივე წინდაწინ გაზომილია მილიმეტრის მეასედი ნაწილაკის მიხედვით. თითოეული ინსტრუმენტი სწორედ იმდენ ლითონს ჩამოჭრის, ამობურღავს, რამდენიც საჭიროა.

რაგინდ მტკიცეც იყოს სწრაფმჭრელი ფოლადი, მუშაობაში ისიც ცვდება. ბურღი და მღარავი იბლაგვებიან და თანდათან უფრო ნელა მუშაობენ... ამიტომ შესაძლოა ერთი ბურღი მეორეს ჩამორჩეს, როგორ უნდა ვადევნოთ თვალყური ხუთასსავე ინსტრუმენტს, რომლებიც ბლოკს აკეთებენ?

აქ დახმარებას გვიწევს რელეელექტრომექანიკური მოწყობილობა, რომელიც მთელ ამ რთულ მუშაობას მართავს.

აი, მახვილმა ბურღმა გაბურღა თუჯი საჭირო სიღრმეზე, ხოლო მეხობელმა, ბლაგვმა ბურღმა, ისევერ იმუშავა, როგორც საჭირო იყო. მაგრამ მჭრელი ბურღი რომ ლითონში შევიდა საჭირო სიღრმეზე, რელეს კონტაქტის პაწაწკინტელა ბერკეტს შეეხო. რელემ მაშინვე სიგნალი გაუგზავნა დაზგის მართვის ელექტროპუნქტს, და ბურღი გაჩერდა. როცა ყველა ინსტრუმენტი თავის საქმეს გააკეთებს, როცა რელეს ყველა კონტაქტი მუშაობს, რკინის თათები გაიშლებიან, გადააბრუნებენ ბლოკს, როგორც საჭიროა, და დადგამენ ახალი სააგრეგატო დაზგის მაგიდაზე.

მთელი დამუშავების გზას ბლოკი ორ წუთში გადის. ხაზის ერთი ბოლო იღებს ულაზათო, უგორმო ჩამონასხამს, მეორედან ჩამოდის მზა ბლოკი. მთელ ამ ხაზს მომსახურებას უწევს ორი კაცი. ისინი თვალყურს ადევნებენ, რომ მანქანები არ შეცდნენ, რადგანაც რაგინდ „გონიერიც" იყოს მანქანა, მისი შემოქმედი ადამიანი უფრო გონიერია.

ი გ ა ვ ე ბ ი



ერთხელ შეიკრიბნენ ფრინველები ახალი მეფის ამოსარჩევად. მეფედ გახდომის ყველაზე დიდი იმედი ჰქონდათ არწივს თავისი სიძლიერისა და ფარშავანგს თავისი სილამაზის გამო. მაგრამ ყვავი არ იყო ამით კმაყოფილი. ის გაძვრა ჩუმად საქათმეში და მოირთო მშვენიერი ფრთებით. ფრინველები ჯერ გაკვირვებული უცქეროდნენ არწივსა და ფარშავანგს შუა ამაყად მჯდომ ყვავს, მაგრამ როცა ახლო დაათვალიერეს და იცნეს, მიესივნენ და სხვის ფრთებთან ერთად საკუთარიც გააცალეს.

მგელი, ზღარბი და მელა

ერთხელ მგელმა ერთი ზღარბი დაინახა, რომელიც ტყეში შუა გზაზე იწვა.

— რა მახინჯია ეს ცხოველი თავისი მჩხვლეტავი ეკლებით, — უთხრა იქვე მყოფ მელას,—სულიერ ქმნილებას არცა ჰგავს, ტყის ნამდვილი შემრცხვენელია.

— ზღარბი კი,—მიუგო მელამ, — ძალიან კმაყოფილია თავისი ეკლებისა, რადგან შენი კბილებისგან მხოლოდ ისინი იცავენ მას.

იოლი და ძნელი

ერთხელ ერთი ვინმე შეეკითხა ბრძენს: „მითხარი, რა არის იოლი და რა არის ძნელი?" ბრძენმა უპასუხა: „ძნელი არის საკუთარი თავის შეცნობა, ხოლო იოლია ახლობელ ადამიანთა ნაკლის შემჩნევაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივი სინათლე

აგერ ციცინათელა მოფრინავს, აბა რომელიმე თქვენგანი თუ ამიხსნის, — რატომ ანათებს იგი?

ამ საკითხზე ბევრი მეცნიერი მუშაობდა; მათი მიზანი იყო გამოერკვიათ, თუ რა არის ასეთი ნათების მიზეზი, ანდა შეიძლება თუ არა ხელოვნურად იქნეს მიღებული ციცინათელასებური ნათება.

თუ ციცინათელას გამადიდებელი შუშით გავხედავთ, შევამჩნევთ, რომ სინათლის წყაროს ადგილი მუცლის უკანასკნელ სამ სეგმენტზეა მოთავსებული. ამ ადგილას თავმოყრილია დიდი უჯრედები, რომლებშიც გადის სინათლის წყაროს განშტოებული ნერვი. გამოკვლეულია, რომ სინათლის გამომუშავება სუნთქვის შედეგია, რასაც ჟანგვა მოჰყვება. თუ დაირღვა ამ ნერვის მთლიანობა, — სინათლის გამომუშავებაც შეწყდება. რადგან ამნაირი ნათება ფოსფორის ნათებას ჰგავს, რომელიც სიბნელეში დაჟანგვის გამო ანათებს, ფიქრობდნენ, რომ ციცინათელას ნათებაც ფოსფორთან არის დაკავშირებული, მაგრამ ქიმიურმა ანალიზმა აქ ფოსფორი საკმაო რაოდენობით ვერ აღმოაჩინა.

მეცნიერმა სპალანცინიმ დაამტკიცა, რომ ასეთი ნათებისათვის ჰაერთან ერთად წყალიც აუცილებელია. მაგალითად, ციცინათელას ორგანიზმი გაშრობისას კარგავს ნათების უნარს. ქიმიკოსმა დუბუამ აღმოაჩინა, რომ სინათლის წყაროს ნივთიერება— ლუციფერინი ნათების პროცესში განიცდის დაჟანგვას, რასაც სინათლის საკმაო რაოდენობით გამოსხივება მოსდევს. ამრიგად, ციცინათელას ნათება მეტად რთულ და სათუთ ქიმიურ პროცესთან არის დაკავშირებული. ჩვეულებრივ ქიმიური რეაქციის შედეგად მიღებული ქიმიური ენერგია რომ სინათლის ენერგიას გვაძლევს, ეს არაპირდაპირ, ე. ი. უშუალოდ კი არ ხდება, არამედ ჯერ ქიმიური ენერგია სითბოს ენერგიად გადადის. შემდეგ სითბური ენერგია კი სხივოსნურად.

ციცინათელას ნათების პროცესში კი ვანსაკუთრებულ ბიოქიმიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ეს ის პროცესია, როცა ქიმიური ენერგია მთელი 100 პროცენტით გადადის სხივოსნურ ენერგიად. ამ დროს სითბო ისეთი უმნიშვნელო რაოდენობით გამოიყოფა, რომ მისი გაზომვა მოუხერხებელია. აქ ეგრეთწოდებულ „ცივ სინათლესთან“ გვაქვს საქმე. საჭიროა გავიხსენოთ, რომ ელექტრული სინათლის მხოლოდ 2 პროცენტი თუ გადადის სხივოსნურ ენერგიად; დანარჩენი სითბური ენერგია კი იკარგება უსარგებლო, გამოუყენებელი სითბოს სახით, რასაც ციცინათელას ნათების პროცესში არ აქვს ადგილი. უეჭველია, რომ ციცინათელას ჟანგვის და ნათების პროცესში წყალი კატალიზატორის—რეაქციის დამაჩქარებლის როლს ასრულებს. აქ ჟანგვა ხდება მეტად ნელა, მაგრამ უშუალოდ სხივოსნურ ენერგიაში გადასვლით.

ცივ სინათლეს ხშირად იყენებენ პრაქტიკაში: ზოგი ნივთიერება, წინასწარ გაუქებული მზის, მაგნიუმის, კვარცის სხივებით, შემდეგაც ინარჩუნებს ნათების უნარს დროებით. ამ მოვლენას ფოსფორესცენცია ეწოდება.

აი რა ხდება აქ: როცა სხივები ეცემა ასეთ სხეულებს, ეს იწვევს ამ ნივთიერების ატომებიდან ელექტრონების მოწყვეტას, დაკარგვას და შემდეგ კი ამ ელექტრონების კვლავ ატომთან შეერთებას — დაბრუნებას. თითოეული ელექტრონის შეერთება იწვევს მცირე აფეთქებას სინათლის გამოსხივებით, მაგრამ აქ ბრუნდებიან და წყდებიან არა ერთეულები, არამედ მილიარდობით ელექტრონები.

ცხადია, რომ ციცინათელას ნათებაც არ ხდება ელექტრონების მონაწილეობის გარეშე. ყოველგვარი ქიმიური პროცესი ამ ელექტრონების დაკარგვით, შეერთებით ან მათი განსაკუთრებული კონფიგურაციების შექმნით, შეწყვილებით მიმდინარეობს.

ბუნებრივი ნათება მარტო ციცინათელას საკუთრება როდია, ანათებენ ზოგიერთი სახის თევზები, ბაქტერიები და სხვა.

საიდუმლოებით მოცული ბევრი ქიმიური პროცესი ცოცხალ ორგანიზმში გადაჭრილია ქიმიის ერთ-ერთი ახალი დარგის, ბიოლოგიური ქიმიის მიერ.

ემელიან გიოგრგაძე

ვინ გაიმარჯვებს?

მეშვიდე სერია

1. რას ნიშნავს სიტყვა „პიონერი“?
2. რატომ ეწოდა ჩვენს ნორჩ თაობას „პიონერი“?
3. როდის მიენიჭა ნორჩ პიონერთა ორგანიზაციას დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი?
4. როდის და სად ჩამოყალიბდა პირველი პიონერული რაზმი საბჭოთა კავშირში?
5. რის სიმბოლოა პიონერული ყელსახვევის სამი ბოლო?
6. როდის შეუსრულდა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეს 5 წლისთავი?
7. როდის შეუსრულდა „პიონერსკაია პრავდას“ ოცი წლისთავი და მთავრობის რა ჯილდო მიენიჭა?
8. როდის უსრულდება ოცი წელი ჟურნალ „პიონერს“?
9. რომელი ქართველი პოეტი რომელ ლექსში მიმართავს პიონერ-მოსწავლეებს ასე:

„თვალცრემლიმა გოგონებო, ჭაბუკებო ჩვენი მხარის,
ყველა თქვენგანს ჩემი რითმა შესცინის და
შემოჰხარის“.

ვინ დაწერა ამ ლექსის მუსიკა?

10. ვინ დაწერა წიგნი „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“?
11. პირველად რომელ წელს იყო მოხსენებული მატიანეში მოსკოვი?
12. რა ეწოდებოდა წინათ ქალაქ ლენინგრადს, როდის, სად და ვინ ჩაუყარა მას საფუძველი?
13. რომელი ქართველი მეცნიერების შესახებ გამოქვეყნდა ბიოგრაფიული ცნობები ჟურნალ „პიონერში“? დაასახელეთ ეს მეცნიერები.
14. ვინ იყო ფიდიასი?
15. ჩამოთვალეთ ძველი სამყაროს ხელოვნების შვიდი საოცრება.
16. რამდენი პლანეტაა ცნობილი? დასახელეთ ისინი.
17. რას ნიშნავს თქმა: „ალფა და ომეგა“?
18. რას ნიშნავს თქმა: „სიზიფოსის შრომა“?
19. რას ნიშნავს თქმა: „ტანტალოსის ტანჯვანი“?
20. რას ნიშნავს თქმა: „არგუსის თვალი“, „არგუსი“?
21. როდის და სად შემოიღეს პირველად საფოსტო მარკა?
22. რაში მდგომარეობს ზონური დროის უპირატესობა?
23. რომელ ცხოველს უწოდებენ „უდაბნოს ხომალდს“?
24. უდაბნოს რომელი მცენარის შესახებ ამბობენ: „მას ფეხები წყალში აქვს, თავი კი ცეცხლში“?
25. რას ნიშნავს ჰოლფსტრიმი?
26. რომელ გარეულ ფრინველს ეწოდება „მცინარა ვირი“ და სად ბინადრობს იგი?
27. რომელ ცხოველს აქვს ყველაზე სქელი კანი?
28. რა ეწოდებოდა ძველად გიბრალტარის სრუტეს?
29. რამდენ საუკუნეს შეადგენს მილენიუმი?
30. ვინ იყო სტრადივარიუსი?

პასუხი მეექვსე სერიაზე

1. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვმა.
2. ატომის ცნება წარმოიშვა შორეულ წარსულში, ძველ საბერძნეთში.
3. სიტყვა „ატომი“ ბერძნულია და ნიშნავს გაუყოფელს. თითქმის XX საუკუნის დასაწყისამდე ფიქრობდნენ და დაშვებული იყო, რომ ატომის დანახვა შეუძლებელია უძლიერესი მიკროსკოპის შემწეობითაც კი; ატომები წარმოადგენენ ნივთიერების უმცირეს ნაწილაკებს და ისინი გაუყოფელი არიან.
4. შემდგომი გამოკვლევების შედეგად გამოირკვა, რომ ატომი რთული აღნაგობისაა. ატომის ცენტრში მოთავსებულია მისი ბირთვი, რომელიც დამუხტულია დადებითად, ხოლო ბირთვის გარშემო დიდი სიჩქარით დასრიალებენ უარყოფითად დამუხტული ელექტრონები, რომლებიც ჰქმნიან ეგრეთწოდებულ ელექტრონულ შრეს.
5. ატომის ბირთვი შედგება პროტონებისა და ნეიტრონებისაგან. პროტონები დამუხტულია დადებითად, ხოლო ნეიტრონებს არა აქვთ მუხტი. ამრიგად, ატომის შემადგენლობაში შედიან ელექტრონები, პროტონები და ნეიტრონები. ყველა ელექტრონი მოქცეულია ელექტრონულ შრეში, პროტონები და ნეიტრონები კი მის ბირთვში.
6. ბუნებაში 92 ატომია, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან უმთავრესად პროტონების, ნეიტრონებისა და ელექტრონების რაოდენობით. თუ ნივთიერება შედგება ერთნაირი ატომებისაგან, მას ქიმიაში ელემენტი ეწოდება. მაშასადამე, ბუნებაში 92 ელემენტია.
7. მეცნიერმა ცოლ-ქმარმა მარიამ და პიერ კიურიმ აღმოაჩინეს ელემენტი, რომელსაც ეწოდა რადიუმი. ეს ელემენტი ძალიან ნელა, თავისთავად იშლება და იქცევა სხვა ელემენტად—ტყვიად.
8. რადიუმის შემდგომი შესწავლით გამოირკვა, რომ თვით ეს ელემენტი წარმოიშვა ელემენტ ურანის დაშლის შედეგად. რადიუმსა და ურანს უწოდეს რადიოაქტიური ელემენტები. ურანის რადიუმად და რადიუმის ტყვიად გადაქცევისას იშლება ატომის ბირთვი და მასში წარმოიშობა პროტონებისა და ნეიტრონების სულ სხვა რაოდენობა.
9. ის, რაც თავისთავად ხდება რადიუმსა და ურანში, მეცნიერებმა მიზნად დაისახეს განეხორციელებინათ სხვა ელემენტებშიც, ისინი შეეცადნენ დაეშალათ სხვადასხვა ატომის ბირთვები. ასეთი ცდების დროს აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია არა მარტო ერთი ელემენტის გადაქცევა მეორე ელემენტად, არამედ, გარდა ამისა, ბირთვის დაშლისას ზოგჯერ გამოიყოფა უზარმაზარი რაოდენობის ენერგიაც, მაგალითად, სითბოს სახით. ეს სითბო დიდად აღემატება იმ სითბოს, რომელსაც ვიღებთ ნახშირის წვის დროს.
10. მზეზე ხდება წყალბადის ატომების ბირთვთა განუწყვეტელი დაშლა, ამიტომ იძლევა მზე სითბოსა და სინათლის ასეთ უზარმაზარ რაოდენობას.

პიონერის ნიშანი

ტექსტი მ. მიქელაძისა

მუსიკა ვ. კურჯიღისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ ავტორთა შემოქმედება

ჯურჯა კახეთი

აქ ნანასავით გაისმის
ალაზნის ნელი დუდუნი,
ჭალებს აფხიზლებს ხოხობის
და ქედნის ტკბილი ღუღუნი.

აქ ლამაზია ცისკარი
ნაზი სხივების კანკალით,
მღერის ილიას სამშობლო,
მარჯანიშვილის აკვანი.

აქ ევდოშვილმა მთრთოლვარე
ჩანგის სიმები აჟღერა,
აქ ჯადოსნურად გაისმის
სარაჯიშვილის სიმღერა.

ტურფა კახეთის ვენახებს
ბრწყინვალე შუქი ჰფენია,
ათბობს, ანათებს მის ბაღებს
დიდი სტალინის გენია.

ლამარა კიკილაშვილი

სიღნაღის ქალთა საშუალო სკოლის მოსწავლე.



პეიზაჟი. ნახატი მოსწავლე ა. გაჩეჩილაძისა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

იაპონიაზე გამარჯვების დღე . . . . . 1 გვ.
მარიკა მიქელაძე,—პიონერის ნიშანი (ლექსი) გარეკანის მე-2 გვ.
გიორგი კაჭახიძე,—ფრთაშესხმული დავუბრუნდით . . . . . 3 „
ალექსანდრე ფადეევი,—ახალგაზრდა გვარდია, თარგმანი პ. აბრამიასი . . . . . 4 „
რ. თავდიდიშვილი,—დედინაცვალი (მოთხრობა) 9 „
ანა ხახუტაშვილი,—ილიას პირველი ნახვა (მოგონება) . . . . . 12 „
იოსებ გრიშაშვილი,—ძილისგუდა (ლექსი) . . . 15 „
აკად. ნ. კეცხოველი,—ძველი საქართველოს ნანგრევთა შორის . . . . . 16 „
ს. გარბუზოვი,—ურალი—ოქრო მიწა (წერილი) 19 „
შ. მარიანიშვილი,—ბრძოლა არსებობისათვის . 23 „
რგოლის ხელმძღვანელის დღიურში . . . . . 26 „
პიონერის ხახელოსნო . . . . . 27 „
მექსიკის სფინქსი . . . . . 27 „
ახალი ტექნიკის კუთხე . . . . . 28 „
იგავები . . . . . 28 „
ე. გიორგაძე—ცივი სინათლე . . . . . 29 „
ვინ გაიმარჯვებს? . . . . . 30 „
ვ. კურტიდი,—პიონერის ნიშანი (მუსიკა) . . 31 „
ნორჩ ავტორთა შემოქმედება . . . . . 32 „
გასართობი . . . . . გარეკანის მე-3 გვ.
გიყვარდეთ მეცნიერება (ილუსტრაცია) გარეკანის მე-4 გვ.

გარეკანის პირველ გვერდზე მხატვარ **ი. რაზმაძის** ნახატი—„**წიგნი გვიამბობს**“.

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე, ან. დულარიძე (პ/მგ. რედაქტორი), **ვ. ვარდიაშვილი, პროფ. გ. თავზიშვილი, ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

უე—11630, ტირაჟი 7000, გამომც. № 92, სტამბის მეკვეთა № 1554, ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ საგემოვნო მრეწვ. სამინისტროს ლითოგრაფიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი

შარადა

თუ საქართველოს მდინარის
უკვე დასწერე სახელი,
ახლა თავსა და ბოლოში
მას ასო გამოაკელი.
შეკვეცილ სიტყვის თავსართის
პოვნა არ გაგიჭირდება,
აქ უკრაინის ქალაქის
პირველი ასო გჭირდება.
თუ ამერიკის ერთ-ერთი
ტბის შეგიძლია მიგნება,
მისი სახელი შარადის
დაბოლოება იქნება.
ეს სიტყვა უდიადესი
გულს ოქროთ ჩაეზოდება,
როგორც საბჭოთა მოსწავლის
სასიქადულო წოდება.

ვახტანგ ძნელაძე

ოთხთა „ბრძოლა"

ოთხი თანატოლი ბავშვი, შეკრულ თოკზე მარჯვენა ხელჩაკიდებული (დახედეთ ნახატს), ცდილობს მიაწვდეს და თავისუფალი ხელით აიღოს ქვა, რომელიც ოთოეული მათგანისგან თანაბარ მანძილზე მდებარეობს.

ოთხეულიდან გამარჯვებული გამოდის ის, ვინც თავისკენ გადასძალევს მოწინააღმდეგეთ და თავისუფალი ხელით აიღებს ქვას.

ეს თამაში შეიძლება მოეწყოს სადმი, აგრეთვე ხუთი და ექვსი კაცის მონაწილეობით.



ყურმოკრული საუბარი

— ახლა კი შემიძლია ცოტა დავისვენო! — უთხრა ზარის დარეკვის წინ რეზომ გივის.

— როგორ, რეზო! ზაფხულში რას აკეთებდი? ვერ დასვენე?

— ჰმ, რა დამასვენებდა; ფეხბურთს ვთამაშობდი, ვთევზაობდი, ვცურაობდი...

— ეგაა მეცდინება: როდის უნდა დაწყო?

— მესამე მეოთხედში. პირველ და მეორე მეოთხედში მე მუდამ ვისვენებ, ვიკრებ ძალ-ლონეს, შერე ერთი... ორი... და ყველას დავეწევი!

— ბიჭოს, შენ ყოჩაღი ყოფილხარ!

— რა თქმა უნდა, ასე ყველას როდი შეუძლია!

— რეზო, რომელ კლასში ხარ?

— მეექვსეში.

— შარშან რომელში იყავი?

— შარშან? მეექვსეში, როგორც წელს.

პასუხები

ჟურნალ „პიონერის" 1945 წლის მე-9, 10 და 11 ნომრებში გამოქვეყნებული გამოცანები ამოხსნეს და პასუხი რედაქციას გამოუგზავნეს შემდეგმა პიონერ-მოსწავლეებმა: ნოდარ მცხეთაძემ (თბილისი), გივი ხოსროშვილმა (ლაგოდეხი), ო. ფოფხაძემ (სამტრედია), ნათელა ზუბიტაშვილმა (სოფელი ნაფარეული), ლამარა ქინქლაძემ (მახარაძე), ჟ. სიმონიამ (ახალი აბაშა), მამია ჯოლიამ (ფოთი), მერი ციცვიძემ (ხაშური), ბესიკ რურუამ (ბათუმი), თამაზ პაიჭაძემ (ქუთაისი), თამაზ ებანოიძემ (ხაშური), გივი მაცაბერიძემ (თბილისი), ლია ჯანიაშვილმა (თეთრი წყაროო), ნოდარ ჯოგლიძემ (ვანის რაიონი), მიხეილ ბანდალოვმა (თბილისი), თენგიზ ზედელაშვილმა (სიღნაღი), ჰამლეტ ყუფარაძემ (ქუთაისი), შუქურ ცომაიამ და ნინო ბელიაშვილმა (თბილისი), ჰამლეტ მეფისაშვილმა (ქუთაისი), ილინა გიგილაშვილმა (თბილისი), ბუდუ ხუჭუამ (თბილისი), მადლენა გოგიაშვილმა (თელავი), ნაის დეკანოსიძემ (გორი), ანგელინა ილარიშვილმა და ნაზო ტაველიძემ (გორი), ვახტანგ ჯავახაძემ (ქუთაისი), გ. ქარცივაძემ (ხარაგოული), კომუნარ გაგუამ (აბაშა), ალეკო გოგიაშვილმა (ქუთაისი), გური აბრამიძემ (ვანის რაიონი).

ნუ იქ ავსა და ავისაც ნუ გეშინია.

(პასუხი ჟურნალ „პიონერის" № 7-ში მოთავსებულ ამბავ-გამოცანაზე)

მამედის მეგობარი მივიდა მოლასთან და სთხოვა: ამ დღეებში გამგზავრებას ვაპირებ და, თუ შესაძლებელი იქნება და არ შეწუხდებით, ათი ათასი მანეთი რამდენიმე წლით შემინახეთო.

ასეთი საუბრის დროს შეეიდა მამედი და, აბა, იფიქრეთ, როგორ ეტყოდა მოლა ათასი მანეთის დაბრუნებაზე უარს, როდესაც ამ მყოფისაგან ათჯერ მეტს მოელოდა.

გიყვარდეთ მეცნიერება!



ამ თვეში ხედავთ ჩვენი გამოჩენილი ათი მეცნიერის პორტრეტს. ბუნებრივია, რომ მათი მხოლოდ პორტრეტებით, გვარებით, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებით გაცნობა არ დაგაკმაყოფილებთ და დაგეგადებათ სურვილი უფრო მეტი რამ იცოდეთ თითოეული მათგანის შესახებ. თუ ეს ასეა, ეროგეზერეთ.